ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

ოლიკო კილაძე

მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

(საჯარო და კერძო სკოლების შედარებითი ანალიზი საბაზო საფეხურის მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეფემია ხარაძე

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ბავშვის ჰარმონიულ პიროვნებად აღზრდისთვის, საუკეთესო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგების მისაღწევად, განუზომლად დიდია სკოლის და ოჯახის როლი, რაც მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით გამოიხატება.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იზრდება მათი მოტივაცია, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და უყლიბდებათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

კვლევები ცხადყოფს, რომ მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება, არა მარტო მოსწავლეზე, არამედ თავად მშობელზე, პედაგოგზე და ზოგადად, სკოლაზე.

სწორედ ამიტომ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად შეიძლება მივიჩნიოთ მშობელთა ჩართულობის საკითხი და მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა. **თემის აქტუალობაც,** ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევაშია, ვინაიდან მშობელთა ჩართულობა საქართველოში სათანადოდ შესწავლილი არაა.

აგრეთვე, ძალიან საინტერესოა, არსებობს თუ არა განსხვავება მშობელთა ჩართულობის კუთხით საჯარო და კერძო სკოლებს შორის.

ვინაიდან, „მშობელთა ჩართულობის კვლევა“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო საფეხურზე, საჯაროსა და კერძო სკოლების შედარებითი ანალიზის კუთხით არასდროს ჩატრებულა, ამიტომ ჩვენი კვლევა წარმოადგენს **სიახლეს**.

საკვლევის თემის ჰიპოთეზა: ზოგიერთ მშობელს სათანადოდ არ აქვს გაცნობიერებული შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უდიდესი მნიშვნელობა; ზოგიერთ სკოლას არ აქვს მიზნობრივად დაგეგმილი აქტივობები

მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით; საჯარო და კერძო სკოლებს შორის, მშობელთა ჩართულობის დონის მხრივ, არსებობს განსხვავება.

კვლევის მიზანია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მხრივ არსებული მდგომარეობის დადგენა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო **საჯარო** და **კერძო** სკოლების საბაზო საფეხურის მაგალითზე, კერძოდ:

- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დონისა და მშობელთა ჩართულობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა;
- კერძო და საჯარო სკოლებს შორის, მშობელთა ჩართულობის მხრივ, მსგავსება-განსხვავების დადგენა.

კვლევის საგანია საჯარო და კერძო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კვლევა.

კვლევის ობიექტია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროცესი.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდი. კერძოდ:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება;
- ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლის დირექტორებთან და ფსიქოლოგებთან;
- დამრიგებლების და მშობლების გამოკითხვა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წამოადგენს თბილისის კერძო და საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები და დამრიგებლები. ასევე, სკოლის დირექტორები და ფსიქოლოგები.

კვლევის შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ ორივე ტიპის სკოლაში მშობელთა ჩართულობის დონე და ხარისხი გასაუმჯობესებელია. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები დაინტერესებულ პირებს დაეხმარება საკითხის უკეთ გააზრებასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში.

Kiladze Oliko

Parental involvement in school life

(Comparative analysis of public and private schools on the example of basic school level)

Annotation

The role of school and family has a great importance for bringing up the child as a harmonious person, to achieve the best educational results, which is at the same time connected to the parental involvement in school life.

According to international studies, pupils, whose parents are actively involved in the educational process, achieve better results: their motivation increases, they have higher academic achievements, their attendance rate is higher, they have positive behaviour, they are friendly towards the school and they have self-confidence and believe in their abilities.

Studies show that parents' involvement is positively reflected not only on the learner but also on the parent, teacher and in general on school.

That's why, today in the Georgian educational sphere, one of the most important topics is the issue of parental involvement and identification of problems towards parental involvement. This topic represents an important issue in research; therefore it is relevant to study. Since the involvement of parents in Georgia is not properly studied.

It is also interesting for us whether there is a difference in parental involvement between public and private schools. Because "parental involvement study" has never been conducted in terms of comparative analysis at the basic level of public and private schools , so our research is novelty.

The hypothesis of the thesis: Some parents don't have a proper understanding of the importance of child's involvement in school life; Some schools don't have targeted activities in terms of increasing parents' involvement in school life; There is a difference between the public and private schools in terms of the level of parental involvement.

The aim of the research is to identify the situation in the field of parental involvement in the school life on the example of the basic cycle of secondary public and private schools of Tbilisi, namely:

• Determining factors affecting parental involvement and level of involvement in school life;

• Identification of the similarity-difference in the parental involvement between private and public schools,

The subject of the research is to study the involvement of parents of pupils of public and private schools in school life.

The object of research is the process of parents' involvement in school life.

We used qualitative and quantitative methods as research methods. Namely:

• Processing of secondary information;

• In-depth interviews with school directors and psychologists;

• Interviews of parents and tutors by semi-structured questionnaires

Target groups of the study are: Parents and tutors of primary and public schools of Tbilisi. Also, school directors and psychologists.

The results of the study indicate that the level and quality of parents' involvement in both types of schools should improve. Consequently, we believe that the conclusions and recommendations presented at the end of the thesis will help interested parties to understand the issue better and to seek ways for solving these problems.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I სკოლისა და ოჯახის როლი აღზრდის პროცესში..... 12

1.1 პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები სკოლისა და ოჯახის როლზე აღზრდის პროცესში 12

1.2 სკოლისა და ოჯახის როლი მოზარდის აღზრდა-განათლების საკითხში 15

თავი II მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში 18

2.1 მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა..... 18

2.2 მშობელთა წარმატებული ჩართულობის ბარიერები..... 23

2.3 მშობელთა ჩართულობის ისტორია და თემასთან დაკავშირებული კვლევები..... 28

2.4 საერთაშორისო გამოცდილება 30

2.5 საბაზო საფეხურზე მშობლთა ჩართულობა (რატომ საბაზო საფეხური?) 35

2.6 მშობელთა ჩართულობის კუთხით არსებული მდგომარეობა საქართველოში (საკანონმდებლო ბაზის ანალიზი) 37

კვლევითი ნაწილი..... 44

დასკვნები 89

რეკომენდაციები..... 94

გამოყენებული ლიტერატურა: 96

დანართი

შესავალი

მოზარდის ზრდადასრულებულ, ცოდნით და უნარებით შეიარაღებულ ადამიანად ჩამოყალიბება მიზანმიმართული, ხანგრძლივი და რთული პროცესია.

აღზრდა არის ადამიანის ჰარმონიულად ფორმირების, მისი გონებრივად, ფიზიკურად,ზნეობრივად და ესთეტიკურად ჩამოყალიბების და შრომისთვის მომზადების სოციალური, მიზანმიმართული, კანონზომიერი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მტკიცედ ორგანიზებულ გარემოში აღმზრდელის ხელმძღვანელობით. [ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. პედაგოკის ზოგადი საფუძვლები. თბ. 2010 წ.]

მოსწავლეთა აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელსა და მშობელზეა დამოკიდებული. უმთავრესად, მომავალი თაობის აღზრდა სკოლაში მიმდინარეობს. მოზარდის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და სოციალიზაციაში სკოლას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. იგი ქმნის იმ უნიკალურ და თვითმყოფად გარემოს, სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების 12 წელს ატარებს, სადაც მას უყალიბდება სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ღირებულებათა სისტემა.

როგორც ჯონ დიუი აღნიშნავს, სკოლა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ინსტიტუტია. განათლება სოციალურ პროცესს წარმოადგენს. სკოლა, უბრალოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაა, რომელშიც ყველა ის საშუალება იყრის თავს, რომელიც ბავშვს ყველაზე ეფექტური გზებით შეაძლებინებს კაცობრიობის მიერ დანატოვარი რესურსის ათვისებას და საკუთარი ძალების საზოგადო მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას მისცემს (დიუი 2014)

მაგრამ, სკოლასთან ერთად განსაკუთრებულ და გადამწყვეტ როლს ოჯახი ასრულებს. აქ იწყება ბავშვის ძირითადი თვისებების აღმოცენება და აქტიური ურთიერთობა. ეყრება საფუძველი მის მორალსა და ზნეობას, ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, მის პიროვნულ თვისებებს. ამიტომ, ბუნებრივია, აღზრდის შედეგები არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ოჯახი, როგორც სააღმზრდელო გარემო, რამდენად მზადაა მშობელი შვილის აღზრდისათვის, როგორია მისი

პედაგოგიური კულტურა და და როგორია ოჯახის უფროს წევრებს შორის და პედაგოგებთან დამოკიდებულება.

გამომდინარე აქედან, მოზარდის ჰარმონიულ პიროვნებად აღზრდისთვის, საუკეთესო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგების მისაღწევად, განუზომლად დიდია სკოლისა და ოჯახის , მათი ერთობლივად, შეთანხმებულად მუშაობის როლი, რაც მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში მშობლის აქტიური ჩართულობით გამოიხატება.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იზრდება მათი მოტივაცია, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და უყლიბდებათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება, არა მარტო მოსწავლეზე, არამედ თავად მშობელზე, პედაგოგზე და ზოგადად, სკოლაზე.

სწორედ ამიტომ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად შეიძლება მივიჩნიოთ მშობელთა ჩართულობის საკითხი და მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნული საკითხი საქართველოში სათანადოდ შესწავლილი და გაშუქებული არაა. ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც ამ კუთხით ჩატარდა, არის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-Pried) მიერ, 2012 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც მოიცავდა მხოლოდ დაწყებით საფეხურს. **თემის აქტუალობაც,** ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევაშია, ვინაიდან, მშობელთა ჩართულობა საქართველოში სათანადოდ შესწვლილი არაა.

ჩვენი კვლევა ეხება სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას საბაზო საფეხურის მაგალითზე. აგრეთვე, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, არსებობდა თუ არა

განსხვავება მშობელთა ჩართულობის კუთხით საჯარო და კერძო სკოლებს შორის, რაზეც პასუხი შედარებითი ანალიზით მივიღეთ.

ვინაიდან, „მშობელთა ჩართულობის კვლევა“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო საფეხურზე, საჯაროსა და კერძო სკოლების შედარებითი ანალიზის კუთხით არასდროს ჩატრებულა, ამიტომ ჩემი კვლევა წარმოადგენს **სიახლეს.**

ნაშრომის პირველ თავში განხილულია სკოლის და ოჯახის როლი, მნიშვნელობა აღზრდის პროცესში. მოყვანილია პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები აღნიშნულ თემაზე.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა; მშობელთა წარმატებული ჩართულობის ბარიერები; მშობელთა ჩართულობის ისტორია და თემასთან დაკავშირებული კვლევები; საერთაშორისო გამოცდილება მშობელთა ჩართულობის კუთხით; საბაზო საფეხურის, გარდატეხის ასაკის თანმდევი სირთულეები და მშობელთა ჩართულობის მხრივ არსებული მდგომარეობა საქართველოში

ნაშრომის მესამე ნაწილი ეთმობა კვლევას, რომლის ფარგლებშიც გამოვკითხეთ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები, დამრიგებლები, სკოლის ფსიქოლოგები და დირექტორები.

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ **ჰიპოთეზები:**

- ზოგიერთი მშობელი სათანადოდ ვერ იცლის შვილების სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის;
- ზოგიერთ მშობელს სათანადოდ არ აქვს გაცნობიერებული შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უდიდესი მნიშვნელობა;
- ზოგიერთ შემთხვევაში, პედაგოგებსა და მშობლებს შორის კომუნიკაცია იშვიათია;

- ზოგიერთ სკოლას არ აქვს მიზნობრივად დაგეგმილი აქტივობები მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით (მშობელთა ჩართულობის მოდელი);
- საჯარო და კერძო სკოლებს შორის, მშობელთა ჩართულობის დონის მხრივ, არსებობს განსხვავება

კვლევის მიზანია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მხრივ არსებული მდგომარეობის დადგენა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო **საჯარო** და **კერძო** სკოლების საბაზო საფეხურის მაგალითზე, კერძოდ:

- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დონისა და მშობელთა ჩართულობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა;
- კერძო და საჯარო სკოლებს შორის, მშობელთა ჩართულობის მხრივ, მსგავსება-განსხვავების დადგენა.

კვლევის საგანია საჯარო და კერძო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კვლევა.

კვლევის ობიექტია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროცესი.

ნაშრომის კვლევით ნაწილში გაანალიზებულია კვლევის შედეგები. ბოლოს კი, აღნიშნულ შედეგებზე დაყრდონთ, წარმოდგენილია დასკვნები და შემუშავებულია ჩვენეული რეკომენდაციები, რომელიც ეხება როგორც მშობლებს და სკოლას, ასევე მშობელთა ჩართულობის კუთხით არსებულ სახელმწიფო პოლიტიკას.

კვლევის ამოცანებია:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ჩატარება;
- მონაცემების დამუშავება;

- დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის მეთოდებად გამოვიყენე თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდი. კერძოდ:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება;
- ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლის დირექტორებთან და ფსიქოლოგებთან;
- დამრიგებლების და მშობლების გამოკითხვა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით

კვლევის სამიზნე ჯგუფს წამოადგენს თბილისის კერძო და საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები და დამრიგებლები. ასევე, სკოლის დირექტორები და ფსიქოლოგები.

თავი I სკოლისა და ოჯახის როლი აღზრდის პროცესში

1.1 პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები სკოლისა და ოჯახის როლზე აღზრდის პროცესში

„ყმაწვილი მისი გზის დასაწყისშივე გაწვრთენი და

სიბერეშიც კი არ გადაუხვევს მას“

(სოლომონის იგავნი 22:6)

ბავშვის აღზრდა რთული, ხანგრძლივი პროცესია. აღზრდა ბავშვის შესაძლებლობების ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს: სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში.

“აღზრდა არის ადამიანის ჰარმონიულად ფორმირების, მისი გონებრივად, ფიზიკურად, ზნეობრივად და ესთეტიკურად ჩამოყალიბების და შრომისათვის მომზადების სოციალური, მიზანმიმართული, კანონზომიერი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მტკიცედ ორგანიზებულ გარემოში აღმზრდელის ხელმძღვანელობით.” [ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. პედაგოკის ზოგადი საფუძვლები. თბ. 2010 წ.]

ეს არის აღზრდის ზოგადი განმარტება, რომელიც მეტ-ნაკლებად ესადაგება კაცობრიობის განვითარების ყველა დონეს, დაწყებული მონათმფლობელური პერიოდიდან. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცნებათა განმარტებებსა და კლასიფიკაციებს არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი მნიშვნელობა აქვთ. მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ამა თუ იმცნების მნიშვნელობა იხვეწება და ზუსტდება. ამდენად, ნებისმიერი განმარტება სწორია მხოლოდ მოცემულ მომენტისათვის. (ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. პედაგოკის ზოგადი საფუძვლები. თბ. 2010 წ.)

სწორედ ამიტომ, უძველესი დროიდან მეცნიერთა დავის საგანი იყო ის, თუ რა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე - თანდაყოლილი თვისებები, სოციალური გარემო, ორივე ერთად, თუ აღზრდა.

პირველი თეორიის წარმომადგენლები (სოკრატე, პლატონი, ლაიბნიცი) იმ აზრისანი იყვნენ, რომ ადამიანის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისებები, რომლებიც მას მემკვიდრეობით გადაეცემა; რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს ადამიანის განვითარების პროცესში, რომ მოზარდს მემკვიდრეობით გადაეცემა როგორც ფიზიოლოგიური თვისებები, ასევე ხასიათი, მიდრეკილებები, ტემპერამენტი და ა.შ.

ინგლისელი ფილოსოფოსის და პედაგოგის, ჯონ ლოკის მტკიცებით ადამიანი დაბადებიდან ისეთია, როგორც „სუფთა დაფა“. მისი სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გავლენას მოახდენს მასზე საზოგადოებრივი ცხოვრება და გარემომცველი სოციალური სამყარო. (ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. პედაგოკის ზოგადი საფუძვლები. თბ. 2010 წ.)

საბოლოოდ, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „პიროვნების ფორმირების პროცესი - ახალდაბადებული ბავშვის ზრდადასრულებულ, ცოდნით შეიარაღებულ ადამიანად ჩამოყალიბება-გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით მიმდინარეობს. ზოგადად ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პიროვნების ფორმირება, შეიძლება იყოს გარემო, აღზრდა, რომელშიც მოზარდს უხდება ყოფნა და ის გენეტიკური, მემკვიდრეობითი თავისებურებანი, რომლებიც ახალშობილს დაბადებიდან დაჰყვება.(ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. პედაგოკის ზოგადი საფუძვლები. თბ. 2010 წ.)

ადამიანთა საზოგადოებრივ-სოციალური სტრუქტურის პირველი რგოლი იყო და არის ღმერთის მიერ დიდი სიყვარულით დაფუძნებული ოჯახი. ბიბლიის მიხედვით, ოჯახის ცნებაში იმ თავითვე მოიაზრებოდა ღვთის ხატად შექმნილი მამაკაცისა და დედაკაცის მოწონებისა და სიყვარულის საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობა. იესო ქრისტემ თქვა: „ შემოქმედმა დასაბამიდან მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“...“ამიტომ, მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეწებება თავკის ცოლს და ორნი

იქნებიან ერთ ხორცად“(ბიბლია, ახალი აღთქმა, მათე 19:4,5) „ამრიგად რაც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ გაყრის მას“ (იქვე, მარკოზი 10:9)

მეუღლეებს ღმერთმა მიუთითა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა“ (ბიბლია, დაბადება 1:28), სადაც იგულისხმებოდა არა მხოლოდ ბავშვის გაჩენა, ამასთანავე მისი ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბება სწავლება-აღზრდის გზით: ამას მოწმობს ბიბლიური მოწოდებები:-შვილებს „მიეცი კარგი მაგალითი“; „ჩააგონებდე შენს შვილებს ღმერთის სიტყვებს და უთხრობე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას“ (იქვე, მეორე რჯული 6:6,7)

როგორც ბიბლიიდან ჩანს, ოჯახი პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს პირველი უჯრედია. აღზრდა ოჯახიდან იწყება!

ბავშვის აღზრდისას ოჯახის დიდ როლზე საუბრობენ პედაგოგიკის შემდეგი კლასიკოსები:

მეცნიერული პედაგოგიკის პირველი ფუძემდებელი I საუკუნის რომაელი პედაგოგი მარკუს ფაბიუს კვინტლიანე პედაგოგის და მშობლის ერთობლივ მოღვაწეობას ბავშვის აღზრდისას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის პედაგოგიურ ტრაქტატში „ორატორის დარიგებანი“. ავტორის აზრით, ჩვილი საწყის ეტაპზე ოჯახში მშობლების, ყურადღებით შერჩეული ზიძისა და მაღალკვალიფიციური მასწავლებლის ზედამხედველობით უნდა იზრდებოდეს, ხოლო 7 წლის ასაკიდან ბავშვი აუცილებლად სკოლაში უნდა სწავლობდეს. (ხუხუა გ. პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები ოჯახურ აღზრდის შესახებ. თბ.1998წ)

ის, რომ მშობლის მოლოდინს შვილის აღზრდისას დიდი მნიშვნელობა აქვს კვინტილიანე არაერთგზის მიუთითებდა „ბავშვი როგორც კი დაიბადება, მამა, უპირველეს ყოვლისა, მასზე დიდი იმედებით უნდა აღივსოს და ეს განწყობილება აიძულებს, იზრუნოს თავისი შვილებისთვის.“ (ხუხუა გ. თბ.1998წ)

იგი თვლის, რომ აღზრდაში აუცილებელია სიყვარული, რომელიც გამოიხატება სითბოში, ალერსსა და მოგერებაში, სიახლოვეში, თანადგომასა და დაცვაში.

აღსანიშნავია, რომ მშობლებთან ერთად აღზრდა არ წყდებოდა პედაგოგის გარეშე. კვინტილიანე განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა შინ მოწვეულ მასწავლებლებსაც, რომლებსაც ანდობდნენ ყველაზე ძვირფას განძს-შვილს. (ხუხუა გ. თბ.1998წ)

სწორედ იმიტომ, რომ კომენსკიც კარგად იაზრებდა მშობლისა და პედაგოგის ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობას და ძალას, მან გარდა იმისა, რომ შეადგინა სკოლამდელი აღზრდის პროგრამა, აგრეთვე, გადაწყვიტა მშობლებისა და ძიძების პედაგოგიური კულტურის დონის ამაღლების მიზნით სპეციალური სახელმძღვანელოების შექმნა, რომელიც დაეხმარება მათ თავიანთი მოვალეობის გარკვევაში. (ხუხუა გ. თბ.1998წ)

კლასიკური პედაგოგიკის მიხედვით ბავშვის აღზრდა უნდა ითვლებოდეს პირველ და უმთავრეს საქმედ სახელმწიფოში, საზოგადოებაში, ოჯახში. ეს პროცესი უნდა იწყებოდეს ბავშვის დაბადებისთანავე და უწყვეტად მიმდინარეობდეს სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის გზით მის სრულყოფამდე.

1.2 სკოლისა და ოჯახის როლი მოზარდის აღზრდა-განათლების საკითხში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიროვნების ფორმირების პროცესი გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით მიმდინარეობს. ეს ფაქტორებია: გარემო, აღზრდა და მემკვიდრეობითი თავისებურებები, რომელიც ბავშვს დაბადებისას დაჰყვება.

რაც შეეხება გარემოს, მას ორგვარი ახსნა აქვს:

პირველია ის გარემო, სადაც მოზარდის აღზრდის პროცესი ორგანიზებულად მიმდინარეობს (სკოლა, ოჯახი);

მეორე კი ის გარემო, რომელიც მოზარდზე სტიქიურად და არაორგანიზებულად მოქმედებს. ესაა, საზოგადოება, მეგობართა წრე, მედიის საშუალებები და ა.შ (მუდრიკი,სოციალურიპედაგოგიკა)

რა თქმა უნდა, ყველა მშობელს სურს, ბავშვი ღირსეულ პიროვნებად აღზარდოს, თუმცა ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩება, თუ სკოლა და ოჯახი ერთობლივად და შეთანხმებულად არ იმუშავებენ ბავშვის აღზრდის პროცესში.

ოჯახიდან იწყება ბავშვის ღირებულებათა სისტემის, ნორმებისა და რწმენების ჩამოყალიბება, ეს პროცესი კი შემდგომში სკოლებში გრძელდება, *„სკოლის ამოცანას წარმოადგენს გააღრმავოს და განავრცოს იმ ღირებულებათა გაგება, რომელთაც ბავშვი ოჯახში ეზიარება“*[დიუი 2014]

ცნება „განათლება“ მრავლისმომცველია. ის პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება. ამიტომ, სკოლის და ოჯახის მთავარი მიზანი, სწორედ განათლებული პიროვნების აღზრდა უნდა იყოს.

ბავშვს, რომელიც განათლების გარეშე დარჩება, არ ექნება თვითრეალიზაციის, თვითგანვითარების და თვითპრეზენტაციის შესაძლებლობა. კარლ როჯერსი მიიჩნევს, რომ განათლებულია ის ადამიანი, რომელმაც „ ისწავლა თუ, როგორ უნდა ისწავლოს“; შეიძინა ადაპტირებია უნარი; გააცნობიერა, რომ არანაირი ცოდნა არ არის უცვლელი და სიმყარის საფუძველს ცოდნის ძიების პროცესი გვაძლევს. შესაბამისად, ცოდნის/განათლების დეფიციტი ნეგატიურად აისახება ადამიანის უნარზე, შეიცნოს საკუთარი თავი, ადაპტირება მოახდინოს სოციალურ გარემოში, განსაზღვროს პიროვნული ხარვეზები და შეცვალოს ისინი.(დიურკემი: სოციალიზაცია და მორალური განათლება)

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, განათლებას, როგორც ბერკეტს, აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ, რომ მეტი სინათლე შემოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში. ის გარემო კი, ორგნიზებული გარემო, სადაც ბავშვის ინტენსიური განათლების პროცესი მიმდინარეობს სკოლაა.

მოზარდის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და სოციალიზაციაში სკოლას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. იგი ქმნის იმ უნიკალურ და თვითმყოფად გარემოს,

სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების 12 წელს ატარებს, სადაც მას უყალიბდება სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ღირებულებათა სისტემა.

როგორც ჯონ დიუი აღნიშნავს, სკოლა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ინსტიტუტია. განათლება სოციალურ პროცესს წარმოადგენს. სკოლა, უბრალოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაა, რომელშიც ყველა ის საშუალება იყრის თავს, რომელიც ბავშვს ყველაზე ეფექტური გზებით შეაძლებინებს კაცობრიობის მიერ დანატოვარი რესურსის ათვისებას და საკუთარი ძალების საზოგადო მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას მისცემს (დიუი 2014)

მოსწავლეთა აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელსა და მშობელზეა დამოკიდებული. უმთავრესად, მომავალი თაობის აღზრდა სკოლაში მიმდინარეობს, მაგრამ, სკოლასთან ერთად განსაკუთრებულ და გადამწყვეტ როლს ოჯახი ასრულებს. აქ იწყება ბავშვის ძირითადი თვისებების აღმოცენება და აქტიური ურთიერთობა. ეყრება საფუძველი მის მორალსა და ზნეობას, ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, მის პიროვნულ თვისებებს. ამიტომ, ბუნებრივია, აღზრდის შედეგები არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ოჯახი, როგორც სააღმზრდელო გარემო, რამდენად მზადაა მშობელი შვილის აღზრდისათვის, როგორია მისი პედაგოგიური კულტურა და და როგორია ოჯახის უფროსს წევრებს შორის და პედაგოგებთან დამოკიდებულება.

თავი II მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

2.1 მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა

მოსწავლეთა წარმატებისთვის გასაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას. შვილის განათლების პროცესში მშობლის მონაწილეობა მოსწავლის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. არაერთი კვლევის მიხედვით, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები; უფრო მაღალია მათი დასწრების მაჩვენებელი და გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილნი არიან სკოლის მიმართ და აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. („მშობელთა ჩართულობა“. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის.საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი.თბილისი.2015)

*ტერმინი **„მშობელთა ჩართულობა“** აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. „მშობელთა ჩართულობა“ ნიშნავს მშობლების მონაწილეობას რეგულარულ, მრავალმხრივ კომუნიკაციაში, მოსწავლის სასწავლო პროცესში და სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში. ამ დროს:*

- *მშობლები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს შვილის სწავლის პროცესში;*
- *მშობლები მონაწილეობენ სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში;*
- *მშობლები შვილების სწავლის პროცესში არიან ჩართული, როგორც სრულუფლებიანი პარტნიორები და მონაწილეობენ ბავშვის განათლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში* [„მშობელთა ჩართულობა“,2015]

მშობელთა მაღალი ჩართულობა ერთნაირად მნიშვნელოვანია სკოლის სამივე საფეხურზე, იქნება ეს დაწყებითი, საბაზო, თუ საშუალო.

მშობელთა ჩართულობის ორი მსხვილი კატეგორია არსებობს:

- მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში;
- მშობელთა ჩართულობა სახლში – მეცადინეობაში ინდივიდუალური დახმარებისას („მშობელთა ჩართულობა“, 2015).

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობაში იგულისხმება მშობლის მიერ მოსწავლის მიღწევებისა და ქცევების განხილვა პედაგოგებთან ერთად, ბავშვის განათლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში სრულუფლებიანად ჩართვა, სასკოლო გეგმით გათალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება და დასწრება; სკოლისათვის გარკვეული მოთხოვნების დასახვა და სხვადსხვა საკითხების გადაჭრის მიზნით სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა; გარკვეულ დონეზე სკოლის მართვაში ჩართულობა და მშობელთა კომიტეტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანამშრომლობა, აგრეთვე, მონაწილეობა სასკოლო სასწავლო დოკუმენტაციის (შინაგანაწესის, რეგულაციების, შეფასების სისტემა/კრიტერიუმების) განხილვასა და ცვლილებების შეტანაში („მშობელთა ჩართულობა“, 2015).

ჩართულობა სახლში გულისხმობს ბავშვთან სასკოლო ცხოვრების, სასკოლო დღის ყოველდღიურად განხილვას, პერიოდულად, საშინაო დავალების შესრულებაში დახმარებასა და საჭიროების შეთხვევაში, ბავშვის კერძო რეპეტიტორთან მომზადებას, ბავშვის დახმარებას წიგნიერების ამაღლებასა და დროის სწორედ გადანაწილებაში. („მშობელთა ჩართულობა“, 2015).

მშობლის ჩართულობის ამაღლებაში, აგრეთვე ძალიან დიდი როლი აქვს მასწავლებელს. მნიშშვნელოვანია მშობლისა და პედაგოგის ერთობლივი ძალისხმევა, რაც დაეხმარება მოსწავლეს უკეთ ჩაებას სასკოლო პროცესში.

ჰარისისა და გუდალის მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება მშობლების სკოლაში ჩართულობა და მშობლების სწავლაში ჩართულობა. მათი სასკოლო ღონისძიებებში ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მოსწავლის აკადემიური შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ფაქტორი არის მშობლის ჩართულობა სახლში, ბავშვის სწავლის პროცესში (Blankstein 2010).

ჯოინერი, კომერი და ბენ-ავი და მიიჩნევენ, რომ ჩართულობის ყველაზე ეფექტური ფორმებია: მაღალი მოლოდინი ბავშვის მიღწევების მიმართ, კომფორტული და სწავლაზე ორიეტირებული გარემოს შექმნა და შვილის სწავლის პროცესში გონივრული და ინტენსიური ჩართულობა (Commer, Joyner&Ben Avie 2004)

ფ. ეფშტეინის მიხედვით, მშობლის ჩართულობის 6 ძირითადი ტიპი არსებობს:

- მზრუნველობა.-როდესაც მშობელი ზრუნავს თავის შვილზე და შეძლებ უქმნის სწავლისთვის აუცილებელ ყველა პირობას, შეძლებისდაგვარად;
- აქტიური ურთიერთობა-როდესაც, მშობელმა კარგად იცის შვილის სასკოლო პროგრამები და ხშირად იღებს მონაწილეობას მათ შექმნასა და გახორციელებაში;
- მოხალისეობა- მშობელი საკუთარი შესაძლებლობებისა და დროის ფარგლებში ჩართულია და შეძლებისდაგვარად, მოაწილეობას იღებს სასკოლო აქტივობებში.
- სწავლა-სწავლება სახლში- მშობელი ეხმარება შვილს საშინაო დავალებების შესრულებაში; უმოწმებს უკვე შესრულებულ დავალებებს.
- გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა-მშობელი გარკვეულია და მონაწილეობას იღებს სკოლის გადაწყვეტილებებში.
- სკოლასთან თანამშრომლობა- მშობელს ურთიერთობა აქვს და თანამშრომლობს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. (Martens & Anfara Jr.,2008)

NASA-ს გამოკითხვის შედეგად (24.01.2014), მშობელთა ჩართულობის სამი ძირითადი ფაქტორი გამოიყო:

- ურთიერთობა- სკოლის გარე: რამდენად ხშირად უმოწმებს დავალებებს; რა მოლოდინები აქვს, რამდენად ხშირად ესაუბრება შვილს მომავალ პროფესიაზე და სხვა.

- თვალყურის დევნება - მშობელი აკონტროლებს ასრულებს, თუ არა სვილი დავალებებს, აკონტროლებს მის მისვლა-მოსვლას სკოლაში და თვალყურს ადევნებს შვილის კლასგარეშე აქტივობებს.

- მშობლის მოლოდინი- შვილმა იცის, მშობლის მაღალი მოლოდინის შესახებ და შესაბამისადაა მოტივირებული. (ეს ფაქტორი არ გვხვდება ეფშტეინის კვლევაში)

სარგებელი მოსწავლესთვის: მიუხედავად ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა,ეთნიკური წარმომავლობისა და განათლების დონისა, როდესაც მშობელი ჩართულია ბავშვის განათლების პროცესში, მოსწავლეს უკეთესი მიღწევები აქვს. ის მოსწავლე, რომლის მშობელიც აქტიურადაა ჩართული შვილის განათლების პროცესში, უფრო წარმატებით ამთავრებს სკოლას და უფრო მეტად აქვს სწავლის გაგრძელების სურვილი. გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით: უფრო კარგი ურთიერთობები აქვთ როგორც მასწავლებლებთან, ასევე ოჯახის წევრებთან. განსხვავებული კულტურული გარემოს მქონე მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ, როდესაც მშობლები და პედაგოგები ერთობლივად ცდილობენ ოჯახსა და სკოლას შორის არსებული კულტურული განსხვავებულობების გათვალისწინებას. („მშობელთა ჩართულობა“, 2015)

სარგებელი მშობლისთვის: მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვნად აისახება, როგორც მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, ასევე მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. იცვლება მშობლის ემოციური, სოციალური მხარე და პიროვნული

თვისებები. ბავშვის განათლების პროცესში მონაწილეობის შედეგად მშობელს უფრო მეტად ესმის და უგებს საკუთარ შვილის; უფრო დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვის ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების საჭიროებებს; ხდება ნაკლებად მკაცრი და უფრო მზრუნველი შვილის მიმართ. მეტად აფასებს მის მიღწევებს, ხდება თავდაჯერებული შვილთან ურთიერთობისას. უფრო მეტად სიამოვნებით ერთვება ბავშვის განათლებისა და აღზრდის პროცესში და მეტ ყურადღებას უთმობს საკუთარი ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების ამაღლებას; უფრო წარმატებით და ოპტიმალურად იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობებს საკუთარი ოჯახისა და შვილის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. („მშობელთა ჩართულობა“, 2015

სარგებელი მასწავლებელს: მშობლებთან აქტიური თანამშრომლობისას პედაგოგები უფრო თავდაჯერებულები ხდებიან. უფრო მეტად აფასებენ თავიანთ პროფესიას, საკუთარი საქმიანობით და შედეგებით უფრო კმაყოფილები ხდებიან. მშობლებსა და პედაგოგებს შორის კომუნიკაციის ხარისხი მშობელთა ჩართულობის დონის მიხედვით იცვლება, შესაბამისად, მშობლის მაღალი ჩართულობის დროს, იზრდება პედაგოგს და მშობელს შორის კომუნიკაცია, რაც ეხმარება პედაგოგს, სისტემატურად იღებდეს ამომწურავ ინფორმაციას ბავშვის შესახებ. მოსწავლესთან იდივიდუალური მუშაობა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგება კი პედაგოგებს სასურველ შედეგს მისცემს. („მშობელთა ჩართულობა“, 2015)

სარგებელი სკოლისთვის: სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა სკოლის განვითარებაზეც პოზიტიურად აისახება:

იზრდება სკოლის მხარდაჭერა მშობლებისგან; მაღლდება სკოლის იმიჯი და პრესტიჟულობა საზოგადოებაში; ის სასკოლო პროგრამები/პროექტები, რომლებშიც მშობლები იღებენ მონაწილეობას, უფრო წარმატებულია, ვიდრე ის პროგრამები/პროექტები, რომლებშიც მშობლები არ მონაწილეობენ; მშობელთა ჩართულობის გაზრდისას სკოლაში მოსწავლეთა მოსწრების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება („მშობელთა ჩართულობა“, 2015

როგორც ზემოთჩამოთვლილი ფაქტებიდან, კვლევებიდან და არგუმენტებიდან ირკვევა, სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობას, ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოაქვს, არა მარტო პოსწავლისთვის და მშობლისთვის, არამედ მთელი სკოლისთვის.

აქვე დავსძენ, რომ ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რამდენად იყენებს ქართული სკოლა მშობლების რესურსს მოსწავლეთა წარმატების გასაზრდელად და რა მეთოდებს მიმართავენ მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად? ან, რა შესაძლებლობები და გზები აქვთ მშობლებს სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად? საინტერესოა, არსებობს თუ არა ბარიერები ამ კუთხით.

2.2 მშობელთა წარმატებული ჩართულობის ბარიერები

ზემოთ, ბევრი ვისაუბრეთ მშობელთა ჩართულობით მიღებული სარგებელზე. ახლა, საინტერესოა, განვიხილოთ ის ფაქტობრივი, თუ სავარაუდო ფაქტორები, რომლებიც ერთგვარი ბარიერია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა წარმატებულ ჩართულობაში.

რამდენად ახერხებს სკოლა, გამოიყენოს მშობლების რესურსი მოსწავლეების წარმატებისთვის და რას აკეთებს ის მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად? რა შესაძლებლობები აქვთ მშობლებს, რომ სასკოლო ცხოვრებაში ჩაერთონ? არსებობს, თუ არა, ბარიერები ამ კუთხით?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევებმა ცხადყო, რომ მშობელთა ჩართულობა არა მხოლოდ მოსწავლეთა ყოფაქცევასა და დასწრებას აუმჯობესებს, არამედ დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მიღწევებზეც. მიუხედავად ამისა, მრავალი სკოლის დირექტორი, ჯერ კიდევ არ აღიარებს, მშობელთა ჩართულობით მიღებულ დადებით შედეგს, ვინაიდან, ამერიკელი მასწავლებლების ბოლოდროინდელი გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი პედაგოგების 20 პროცენტი და დირექტორების

თითქმის ერთი მეოთხედი სამსახურებრივი სტრესის მნიშვნელოვან მიზეზად მშობლებთან ურთიერთობას ასახელებს (MetLife, 2005).

მშობელთა დაბალი ჩართულობის გამომწვევი მიზეზი, არ არის მხოლოდ ცალმხრივი. ხშირ შემთხვევაში ორივე მხარის, მშობლის და სკოლის ფაქტორი მოქმედებს.

კვლევების მიხედვით, მშობლის მხრიდან ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება გავიხილოთ არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, დროის უქონლობა, დაკავებული გრაფიკი, სკოლის მიმართ უნდობლობა, განათლების დაბალი დონე, ქორწინების მდგომარეობა, ბავშვების რაოდენობა. ასევე, ის ფაქტორი, როდესაც ვერ იაზრებს იმ დადებით გავლენას, რასაც მის შვილს მოუტანს, ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში თავისი აქტიური ჩართულობით.

მაგალითად, სტატისტიკური მონაცემებით მშობლები, რომელთა განათლების დონეც უფრო მაღალია, უფრო ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, ვიდრე ის მშობლები, რომლებიც განათლების უფრო დაბალ დონეზე დგანან;

მშობლები, რომლებსაც უფრო ცოტა შვილები ყავთ , უფრო ჩართულები არიან სკოლის ცხოვრებაში, ვიდრე მრავალშვილიანი მშობლები;

თუ მშობელი დარწმუნებულია, რომ მას საკმარისი კომპეტენცია აქვს, რომ შვილს სწავლის პროცესში დაეხმაროს, უფრო თამამად ერთვება სკოლის ცხოვრებაში;

მშობელთა წარმოდგენა ბავშვის უნარებსა და ნიჭზე, ასევე, გავლენას ახდენს მშობელთა ჩართულობის ხარისხზე;

მშობელი უნდა გრძნობდეს , რომ სკოლის ხელმძღვანელი , სკოლის დირექცია და მასწავლებლები მშობლის ჩართულობას მნიშვნელოვნად თვლიან, რათა მას სკოლასთან ურთიერთობის მოტივაცია და სურვილი გაუჩნდეს.

ხშირად, ერთ-ერთი დიდი პრობლემა სკოლასა და ოჯახებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაა-მშობლები თვლიან, რომ მათ სკოლაში სიხარულით არ ელიან. ეს ნაწილობრივ შედეგია მიღებული, ხშირად უარყოფითი, გამოცდილებისა, რაც

აფიქრებინებთ, რომ მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში დადებით შედეგს არ მოიტანს. (MetLife, 2005).

აგრეთვე, ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მშობლები თავს იკავებენ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობისაგან, არის სკოლასთან დაკავშირებული გარკვეული დისკომფორტი, რადგან მათ არ იციან, როგორ ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლები, რომლებიც ზრუნავენ მშობელთა ჩართვაზე სასკოლო პროცესებში, აქტიურად ეხმარებიან მშობლებს ჩართულობის მეთოდების შესწავლაში. მოსწავლეთა სარგებელი დადასტურებულია(Sheldon & Epstein, 2005);

ერთ-ერთ კვლევაში, ასევე ხაზგასმულია მოსწავლეთა მოსწრების საგრძნობი გაუმჯობესება, როდესაც ისინი მშობლებთან ერთად ასრულებენ დავალებას (Van Voorhis, 2003).

ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესია, მშობელმა სათანადოდ გააცნობიეროს მისი როლი შვილის წარმატებაში:

მაგალითისთვის, გერმანელ მშობლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ბავშვის სწორად აღზრდისა და სწავლაში წარმატებისათვის აუცილებელია, ორივე მშობელი იყოს ჩართული სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

როდესაც გერმანელი მშობლები აცნობიერებენ განათლების მნიშვნელობას და შვილებს სათანადო ყურადღებას აქცევენ, ბავშვები წარმატებას აღწევენ. სასწავლო და ფიზიკური გაჯანსაღებისათვის დროს გონივრულად იყენებენ: ტელევიზორზე, ინტერნეტსა და კომპიუტერულ თამაშებზე მიჯაჭვულნი არ არიან და სასწავლო და ფიზიკური გაჯანსაღებისათვის პოულობენ დროს. (The Role of Parents, Teachers and Social Workers in the German and Australian Education Systems, Hayley Matas and Ingrid Harrington, 2016)

სოციალურად შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ემიგრანტთა ოჯახების შვილები კი, უმეტესწილად , საგანმანათლებლო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ და დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან. მატი მშობლებისთვის

პრიორიტეტული შვილების განათლება არ არის და შესაბამისად, არ არიან ჩართულები შვილების სასკოლო ცხოვრებაში. (Hayley Matas and Ingrid Harrington, 2016)

საყურადღებოა, რომ გერმანიაში სკოლაში მიღებული ნიშნები და სკოლის წარმატებით დასრულება მშობლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გერმანელი მშობლების 75 % აღნიშნავს, რომ სკოლის წარმატებით დასრულებაზეა დამოკიდებული მათი შვილების მომავალი ცხოვრება. მათი მთავარი გზავნილი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებისადმი ასე ჟღერს: „ განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებმა უშუალოდ უნდა ჰკითხონ მშობლებს , სად არის ის „ ცხელი წერტილები“, რომლებიც სასწრაფოდ რეაგირებას ითხოვს. ისინი უნდა დაინტერესდნენ მშობლების რეალური ყოფითა და პრობლემებით. მათ პერიოდულად უნდა მოაწყონ მრგვალი მაგიდა და მის ირგვლივ ესაუბრონ მშობლებს მიაწოდონ ინფორმაცია განათლების სფეროს პრიორიტეტებისა და სიახლეების შესახებ. (Hayley Matas and Ingrid Harrington, 2016)

“მშობლების გარეშე არაფერი გამოვა, თუ ჩვენი მიზანი თანმიმდევრული და მიზანმიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებაა„ -ასე პასუხობენ განათლების პოლიტიკოსები კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. (Sheldon, S. B., & Jung, S. B. (2015). Parent Involvement and Children’s Academic and Social Development in Elementary School. Johns Hopkins University, School of Education.)

მშობლის განწყობა, შესაძლებლობები თუ დამოკიდებულება პრობლემის ერთი მხარეა. ახლა, მშობელთა ჩართულობის ბარიერების მეორე მხარესაც გავეცნოთ:

ხშირ შემთხვევაში, სკოლები მშობლებს არ რთავენ თავიანთ საქმიანობაში, რადგან ჰგონიათ, რომ ისინი თავს ვერ გაართმევენ. *„ეს უფრო წინასწარი მცადი აზრია. მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ოჯახებს არ უნდათ მონაწილეობის მიღება, როცა სინამდვილეში ოჯახებმა არ იციან, როგორ მიიღონ მონაწილეობა“,* განაცხადა კარენ სალინასმა. იგი სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებასთან პარტნიორობის ცენტრის კომუნიკაციების დირექტორია და სკოლაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი

ყველაზე გავლენიანი მხარდამჭერი). [Toward Equity in School, Family and Community Partnerships,2018]

სკოლა თავად უნდა იყოს დაინტერესებული მშობლებთან აქტიური თანამშრომ-ლობით, რაც მნიშვნელოვან წილად მისი წარმატების განმსაზღვრელი იქნება.

მაგალითად, ჯოის ეფშტეინი (სასკოლო ცენტრის "ოჯახისა და საზოგადოების პარტნიორობის" დირექტორი) ეფუძნება ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტისა და "პარტნიორი სკოლების ეროვნული ქსელის" კვლევებს, რომლის მიხედვითაც განათლების ხარისხის გაუმჯობესება განპირობებულია სკოლის, მშობლების და საზოგადოების ერთობლივი მუშაობით. ეფშტეინის თქმით, *"ძველი აზროვნებით, მშობელთა ჩართულობა მოიცავდა მხოლოდ მშობელთა საკითხებს, ხოლო – თანამედროვე მიდგომებით, იგი პირდაპირ კავშირშია მოსწავლის წარმატებასთან. სკოლის დირექტორი მშობლის ჩართულობას ისე უნდა მიუდგეს, როგორც სასწავლო გეგმას, პროფესიულ განვითარებას და სხვა კრიტიკულ სფეროებს სკოლის ცხოვრებაში".* (Sheldon, S. B., & Jung, S. B. 2015).

ხშირ შემთხვევაში, როდესაც მშობელს არ აკმაყოფილებს სკოლის რაიმე ასპექტი, რომელშიც მისი შვილი სწავლობს, ის ემიჯნება სკოლას, აღარ ერთვება საკუთარი შვილის განათლების პროცესში და რიგ შემთხვევაში, ცდილობს, გაამართლოს შვილი, როდესაც იგი სკოლაში მეცადინეობებს არ ესწრება, ან გადაჰყავს სხვა სკოლაში. ასეთი „გამოსავალი" ყოველთვის უარყოფითად აისახება სკოლაზეც და მოსწავლეზეც.

დღევანდელი გადასახედიდან, მშობელთა ჩართულობა მხოლოდ მშობელთა კრებას მოიაზრებს, რომელიც ხშირად ან არ იმართება, ან მშობლის მოუცლელობა ხდება არდასწრების მიზეზი. ამგვარად, მშობელთა კრება ვერ უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების თაობაზე. („მშობელთა ჩართულობა", 2015)

ხშირ შემთხვევაში სკოლებს არ აქვს „მშობელთა ჩართულობის მოდელი" და განსახორციელებელი აქტივობები მშობელთა ჩართულობის გაზრდის კუთხით - ბევრ სკოლას აქვს ესეთი მიზნები, მაგრამ უმრავლესობას არ გააჩნიათ კონკრეტული

სტრატეგია, თუ როგორ და რა ნაბიჯებით მიიღწევა ეს მიზანი. („მშობელთა ჩართულობა“, 2015)

ზოგიერთი სკოლა მიიჩნევს, რომ მშობელი თავად არის ვალდებული იაქტიუროს და ჩაერთოს სკოლის ცხოვრებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამას არ აკეთებენ.

2010 წელს, მშობელთა ჩართულობის დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ქევინ უოკერმა, მშობელთა ჩართულობის ერთერთი პროექტის დამაარსებელმა სკოლებს მოუწოდა, *“ნუ წუწუნებთ მშობელთა პასიურობაზე, არამედ მოიწვიეთ , დაპატიჟეთ და სთხოვეთ მათ გააკეთონ რაც შეიძლება მეტი“.* სწორედ ამ შეხვედრაზე დააჯილდოვეს მშობლები პირველად აქტიური ჩართულობისთვის. თუ მშობელი არ გაითავისებს თავისი ჩართულობის აუცილებლობას, სკოლა ვერასოდეს გახდება დემოკრატიული. [American Psychological Association. Parent Engagement in Schools.]

https://www.apa.org/pi/lgbt/programs/safe-supportive/parental-engagement/default.aspx

როგორც ჩანს, მშობელთა ჩართულობის კუთხით ბარიერები ორმხრივია. ზოგ შემთხვევაში,ბარიერების გამომწვევი მიზეზი სკოლაშია, ზოგიერთ შემთხვევაში კი-მშობელში. საბოლოო ჯამში, ხშირად, ნაცვლად პრობლემების აღიარებისა, ორივე მხარე ერთმანეთზე გადაბრალების პოზიციაშია.

2.3 მშობელთა ჩართულობის ისტორია და თემასთან დაკავშირებული კვლევები

მშობელთა ჩართულობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღნიშნულ თემაზე, ჯერ კიდევ, 1960 წლიდან იწერებოდა სტატიები.

ერთ-ერთი ძველი კვლევა 1977 წელს ჩატარდა. ერთ-ერთი მკვლევარი აკვირდებოდა საბავშვო ბაღებში მშობელთა ჩართულობის 3 კატეგორიას: დაბალ, საშუალო და მაღალ ჩართულობას. აღსანიშნავია, რომ პირველი წლის ბოლოს, განსხვავება ბავშვებში არ აღინიშნებოდა, თუმცა მეორე წლის ბოლოს, განსხვავება აშკარა გახდა. მეორე წლის ბოლოს მიშვნელოვნად განსხვავდებოდა მაღალი

ჩართულობის მშობელთა შვილების IQ, დაბალი ჩართულობის მქონე მშობელთა შვილებთან შედარებით. შედეგად, მკვლევარმა დაასკვნა, რომ იმ ბავშვების განათლების დონე, ვისი მშობლებიც ჩართულები არიან ბავშვის განათლების მიღების პროცესში, ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მათი, ვისი მშობლებიც ჩართულები არ არიან აღნიშნულ (Anselmo 1977)

მე-19 და მე-20 საუკუნეებში სასკოლო ცხოვრება და ოჯახური ურთიერთობები ერთმანეთს დასორდა. მიუხედავად მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევებში მშობლის მკაფიოდ დამოწმებული სარგებლისა, 1950-იან წლებში, ამერიკაში პედაგოგები აცხადებდნენ, რომ მშობლებს არ ქონდათ სატანადო კვალიფიკაცია, იმისთვის, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ შვილის საგანმანათლებლო პროცესში. პედაგოგებმა მშობლებს, მხოლოდ „ასისტენტის როლში" ყოფნა. (Beale 1985)

თუმცა, 1994 წელს სიტუაცია ისევ შეიცვალა. აშშ-ს კონგრესმა, პირველად ისტორიაში,მიიღო ამერიკული განათლების კანონი და შეიმუშავა მიზნები 2000 წლისთვის. ამ მიზნებიდან რიგით მერვე მიზანს წარმოადგენდა თითოეული სკოლისთვის მშობლებსა და სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობის ხელშეწყობა, რათა ორივე ერთობლივად დახმარებოდა მოსწავლეებს სოციალურ, ემოციურ და აკადემიურ ზრდაში. (Beale, 1985).

ამერიკის შეერთებული შტატების დაწყებითი და საშუალო განათლების კანონმა, პირველად ისტორიაში, განსაზღვრა, მშობლის მონაწილეობა და კანონში გაწერა სხვადასხვა პუნქტები:

- მშობლებმა რეგულარულად უნდა მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ჰქონდეთ სკოლასთან ორმხრივი ურთიერთობა და მუდმივი კომუნიკაცია;
- უნდა ტარდებოდეს ტრენინგები მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობისა და სკოლის საქმიანობის შსახებ;
- მშობლებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა შვილების განათლების მიღებაში, ასწავლონ მათ და დაეხმარონ რთულ სიტუაციებში;
- საჭიროების შემთხვევაში, მშობლები უნდა ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Beale,1985)

სასწავლო პროცესში მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მშობელთა ჩართულობის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს არაერთი მასშტაბური უცხოური კვლევა.

კვლევის „ოჯახი-სკოლა-პროფესია“ თანახმად სასკოლო განათლებაში წარმატების გასაღები მშობელს უჭირავს ხელში, ვინაიდან ბავშვების სწავლის შედეგები მიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათ ჩართულობასა და მოლოდინზე, თუ რას ელის ის თავისი შვილისგან. აღნიშნული კვლევის მიხედვით, მშობლების მოლოდინი გავლენას მასწავლებლებზეც ახდენს (Familia-Schule-Beruf, 2007)

2002 წელს Michigan Department of Education-მაჩაატარა კვლევა, რომლის თანახმად, საზოგადოების 86 % თვლის, რომ სკოლის გაუმჯობესების ყველაზე მნიშვნელოვანი გზა არის მშობლის ჩართულობა, რაც, ამავე კვლევის თანახმად, საჯარო სკოლებში ყველაზე დიდი პრობლემაა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მშობლის აქტიური ჩართულობის დროს ბავშვებში აღინიშნება:

- უფრო მაღალი ქულები და შედეგები;
- უკეთესი დასწრება;
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების შემცირება;
- ძალადობის ნაკლები მაგალითები. (Familia-Schule-Beruf, 2007)

2.4 საერთაშორისო გამოცდილება

ვფიქრობ, საინტერესო და მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილება, სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის გაზრდის კუთხით, ვინაიდან, უცხოური გამოცდილება დაგვეხმარება კვლევის შედეგების გაანალიზების შემდგომ, რეკომენდა-ციების შემუშავებაში.

მილფორდის, ორჩარდ ჰილსის სკოლამ, 2005 წლიდან დაიწყო დოქტორ ეფშტეინის მიდგომით მშობელთა ჩართულობის პროგრამის განხორციელება. სკოლის დირექტორი აცხადებს, რომ „მშობელთა ჩართულობა“ ყოვლისმომცველი პროგრამაა, ვინაიდან ეს პროგრამა არ არის მხოლოდ მშობელთა მოხალისეობის შესახებ, ეს არის მთელი საზოგადოების ჩართულობისთვის და იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მშობლებს დაეხმარონ სკოლას და პირიქით. (Tarasawa, B. & Waggoner, J. (2015). Increasing parental involvement of English Language Learner families: What the research says. Journal of Children and Poverty, 129–134.)

ამავე სკოლის, საზოგადოების პარტნიორობის ჯგუფიმუშაობს, იმისთვის, რომ ბავშვებს კითხვითი უნარები აუმაღლდეთ. ამისთვის, მასწავლებელი და მოსწავლეები ირჩევენ წიგნს, ბავშვები მშობლებთან ერთად კითხულობენ სახლში, შემდეგ სკოლა აწყობს საღამოს, სადაც ბავშვებთან ერთად მიწვეულნი არიან მათი მშობლები. მასწავლებელი სვამს კითხვებს შეკითხვებს წაკითხული წიგნის ფარგლებში და ბავშვები მშობლებთან ერთად პასუხობენ. ერთი თვის შემდეგ კვლავ იკრიბებიან, რათა უკვე სხვა ჭრილში განიხილონ წაკითხული წიგნი.

პროგრამა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მშობლებმა ცამოაყალიბეს კითხვის კლუბი- „კითხვის ოსტატი“.(Tarasawa, B. & Waggoner, J. (2015)

წიგნიერების გაზრდაზე ფოკუსირდებოდა 2005 წელს ოჰაიოს მუნიციპალური სკოლის რაიონული დეპარტამენტიც. სკოლაში იმართება სემინარები მშობლებისთვის, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ შვილებს სწავლაში და ცხოვრებისეული უნარების შეძენაში. ამ რეგიონში წიგნის კლუბები, სადაც სადაც ბებიები, ბაბუები,მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები მიდიან და უკითხავენ ბავშვებს წიგნებს. ასევე, არის წიგნის კლუბი მოზრდილთათვის. მოზარდები კითხულობენ და განიხილავენ წიგნებს. აღნიშნული აქტივობა მაგალითის მიმცემია მომავალი ტაობებისთვის.

ამავე სკოლაში, კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც მშობლების ძლიერი მხარდაჭერა აქვს, არის პარასკევის საქაღალდეები (FRIDAY FOLDERS). მოხალისეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია ყოველკვირეულად აკეთებენ საინფორმაციო

ფურცლებს და ბროშურებს სკოლაში მიმდინარე პროცესების, დაგეგმილი აქტივობების, კონკურსების, პროგრამების შესახებ. (Tarasawa, B. & Waggoner, J. (2015)

ლოუნდის საშუალო სკოლის დირექტორი ამბობს, რომ „მშობელტთა ჩართულობას გადამდები ხასიათი აქვს“. აღნიშნულ სკოლაში, მშობელთა ჩართულობის შემდეგ, ბავშვთა მოსწრების დონე მათემატიკაში 64 % -დან 81-% მდე გაიზარდა. სკოლა აგრეთვე სთავაზობს მათ “შესანიშნავ ოთხშაბათს“, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მშობლებს მივიდნენ, ისაუბრონ, რა შეუძლიათ გააკეთონ სკოლის დასახმარებლად, ასევე სკოლა იზიარებს მათ პრობლემებსაც. გასულ წელს გახსნეს მშობელთა რესურსების ოთახი, სადაც მათ უტარდებათ ტრეინინგები, სემინარები, შესაძლებელია კომპიუტერის გამოყენებაც. ბავშვები ეხმარებიან მშობლებს კომპიუტერული უნარების სწავლაში. ამ დროს, მასწავლებელს საშუალება ეძლევა მშობელთან ერთად იმუშაოს ბავშვების ინდივიდუალურ საკითხებზე და სტრატეგიებზე. (Tarasawa, B. & Waggoner, J. 2015)

აღსანიშნავია, რომ მშობლებთან ურთიერთობა ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობა ყველაზე მნიშვნელოვანია. კლემენსი ამბობს,რომ მას ესმის, თუ რატომ უფრთხიან სკოლის დირექტორები მშობელთა გააქტიურებას, ”შესაძლოა მათ უკვე აქვთ მშობლებთან ურთიერთობის უარყოფითი გამოცდილება და ამიტომაც არიდებენ თავს, მაგრამ ნამდვილად ღირს ცდად და ძალისხმევად”. (Tarasawa, B. & Waggoner, J. 2015)

ტეხასში, ებინგტონის დაწყებითმა სკოლამ 77 მოხალისე მშობლით დაიწყო მშობელთა ჩართულობის ზრიდ პროგრამის განხორციელება, მომდევნო წელს ეს ციფრი გახდა 187. ამჟამად სკოლას ჰყავს 250 მოხალისე მშობელი.

სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაციის გაზრდის რეკომენდაციები შეიმუშავა მსოფლიო განათლების ცენტრის წარმომადგენელმა ქეთლინ ქეივიმ:

„კომუნიკაცია მშობლებთან, არის ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი. კომუნიკაციის მეთოდი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. მაგ: ყოველთვიური ნიუსების გამოქვეყნება, სკოლაში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა, მოსწავლეთა მოსწრების შესახებ ინფორმირება, სასკოლო კალენდრის კეთება, კომუნიკაცია

ინტერნეტ სივრცეში. ყოველთვიურად უნდა ხდებოდეს მშობლის მიერ ტესტის შევსება, თავისი შვილის შესახებ. ასევე, ტესტებს უნდა ავსებდნენ ბავშვები, რის შემდეგაც მოხდება მათი შედარება და ამოცნობა, თუ როგორ აღიქვამენ მშობლები თავიანთი შვილის შესაძლებლობებს და რამდენად განსხვავდება ბავშვის აღქმა თავად." [Parential and Family Involvement in education, Douglas B. Downey. 2017]

მისი თქმით, მშობელთა ინფორმირება უნდა ხდებოდეს, არა მარტო მოსწავლის პრობლემების შემთხვევაში, არამედ საუკეთესო მიღწევებისა და საქციელისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და მადლობის სათქმელადაც. მშობლის სკოლაში მისვლა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მათ ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი თვალით დაინახონ მასწავლებლის სწავლების სტილი, ნახონ თავინთი ბავშვი სასკოლო მეცადინეობის პროცესში. ძალიან კარგი გრძნობაა, როდესაც მშობლები სკოლაში მიდიან თავიანთ ბავშვებთან ერთად, მასწავლებელი აცნობს მათ ბავშვის შედეგებს , მუშაობის პროცესს და ეხმარებიან მათ რომ უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი სკოლის ცხოვრებაში.

აქტიური მოქალაქეობისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით, ჩვენ საკუთარი მაგალითით უნდა დავუმტკიცოთ საკუთარ შვილებს, რომლებიც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან, რომ საერთო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართვა ღირს ძალისხმევად და ხშირ შემთხვევაში, ეს სახალისო და საინტერესო პროცესია.

საინტერესო ფაქტია ის რომ, სტროტოფის საერთაშორისო სკოლაში, შექმნილია მშობლისა და მასწავლებლის ასოციაცია (PTA). (Strothoff-International-School) https://www.strothoff-international-school.com/campus-life/pta/)

მასწავლებლისა და მშობლის ასოციაცია მხარს უჭერს ისეთ სასკოლო აქტივობებს, როგორებიცა ყოველწლიური ღონისძიებები და პოლიტიკური განვითარება.

შეხვედრები იმართება ყოველ ორ თვეში ერთხელ და დაპატიჟებულია ყველა მშობელი, რათა გამოხატონ და სხვებსაც გაუზიარონ საკუთარი იდეები.

PTA-ის მიზანია გააძლიეროს სკოლის საზოგადოება და მხარი დაუჭიროს სკოლის პროგრესს სტუდენტებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად.

სტორტოფის საერთაშორისო სკოლის მშობლისა და მასწავლებლის ასოციაცია ასპონსორებს უამრავ აქტივობას და ღონისძიებას ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის უამრავი აქტივობით, ღონისძიებითა და რესურსებით, რაც ამრავალფეროვნებს განათლების პროცესს. (Strothoff-International-School) https://www.strothoff-international-school.com/campus-life/pta/)

სკოლები, რომლებიც წარმატებულები არიან მშობელთა ჩართულობაში, არ მოქმედებენ მხოლოდ ჩართულობის მარტივი განსაზღვრების ჩარჩოებში. ისინი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ კრებებზე დამსწრე ან ღონისძიებებში საკუთარი სურვილით ჩართული მშობლების დათვლით; არ არიან ზედმეტად ფოკუსირებული ისეთ მოთხოვნებზე, როგორიცაა მშობლის ხელმოწერა მოსწავლის საშინაო დავალებაზე. მათ სჯერათ, რომ მოსწავლის წარმატება სკოლისა და ოჯახის საერთო ინტერესია, სწავლის პროცესში მშობელს პარტნიორად მიჩნევენ, შემდეგ კი ამ პარტნიორობის გაძლიერების კონკრეტულ გზებს განსაზღვრავენ.

მშობელთა ჩართულობის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის სამი გზა არის წარმოდგენილი:

1) კომუნიკაციის გაუმჯობესება,
2) მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ სკოლის პერსონალისა და ოჯახის ცნობიერების ამაღლება
3) პერსონალიზაცია.

საერთაშორისო გამოცდილების, კვლევებისა და რეკომენდაციების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფაქტია სკოლისა და მშობლის ურთიერთობა მთელს მსოფლიოშია პრიორიტეტული და აქტუალური. საინტერესოა, რა მდგომარეობაა, ამ კუთხით საქართველოში.

2.5 საბაზო საფეხურზე მშობლთა ჩართულობა

(რატომ საბაზო საფეხური?)

ალბათ, საინტერესოა, რატომ ავირჩიე კვლევისთვის საბაზო საფეხური.

საქმე იმაშია, რომ ეს არის მოზარდის გარდატეხის ასაკის წლები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლე მოწყვლადია. მშობლებს ავტორიტეტი აქვთ მათ თვალში და ადვილია მშობელმა წაიყვანოს სწორი მიმართულებით.

საშუალო საფეხურზე, მეტნაკლებად, ჩამოყალიბებულია მოზრდი. მისი სამომავლო მიზნები ნათელი და კონკრეტული თუ არა, გარკვეულწილად, გამოკვეთილია,უფრო მეტად მშვიდი და დამოუკიდებელია.

რაც შეეხება საბაზო საფეხურს, აქ სიტუაცია სრულიად განსხვავებულია.

პიაჟე ამ ასაკს ფორმალუროპერაციულ სტადიას უწოდებს, რომლის დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშობლის ჩართულობას. მშობელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეპყრას ამ ასაკში ბავშვს. ერთმა არასწორად გადადგმულმა ნაბიჯმა და სიტყვამ, შეიძლება, სავალალო კვალი დატოვოს მოზარდის მომავალზე. ამ ასაკში მოზარდი ეუფლება ისეთ უნარებს, როგორიცაა:

ლოგიკური აზროვნება, არა მხოლოდ კონკრეტულ და რეალურ, არამედ აბსტრაქტულ საგნებთან და მოვლენებთან დაკავშირებით;

- აბსტრაქტული აზროვნება;
- იდეალიზებისა და წარმოსახვის უნარები;
- ჰიპოთეზურად აზროვნების უნარი;
- მათემატიკური და მეცნიერული აზროვნების უნარები;
- ახალი ფორმის ეგოცენტრიზმი.

(განვითარებისა და სწავლების თეორიები 2008, 29-31)

ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მოზარდს მშობელი, სკოლა და გარშემომყოფები უნდა დაეხმარონ მის გადალახვაში. ახალი ფორმის ეგოცენტრიზმის დროს მოზარდ აქვს იმის სურვილი, რომ იყვნენ ყველასგან გამორჩეულნი და ადვილად თვალშისაცემნი. ჰგონიათ, რომ არიან უვნებელნი. ამ ასაკში ისინი ერთგვარ ექსპერიმენტებს უტარებენ საკუთარ თავებს; სინჯავენ ნარკოტიკებს, ეტანებიან ალკოჰოლს, იწყებენ სიგარეტის მოწევას, აკეთებენ სხვადასხვა უცნაურობებს; ხშირად აგრესიულნი არიან, იოლად „ფეთქდებიან“, თაკილობენ მშობლის გადამეტებულ ყურადღებას და კონტროლს. სურთ იყვნენ სრულიად დამოუკიდებელნი. აგრესიას, მშობლის გარდა, პედაგოგებისა და სხვა უფროსების მიმართაც იჩენენ, რომლებიც რჩევას მისცემენ, ან გააკრიტიკებენ (განვითარებისა და სწავლების თეორიები 2008, 29-31)

მშობელთა ჩართულობას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა რომ აქვს, ეს უკვე ცხადია. ახლა, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აღიქვამენ ამ ყველაფერს თავად მოსწავლეები. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები, რომლებიც დაწყებით კლასში სწავლობენ შესაძლოა სიხარულით აივსონ, როდესაც მშობლებს ასე ხშირად დაინახავენ სკოლაში, საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის შესაძლოა, ეს არასასიამოვნო იყოს.საბაზო საფეხურზე, მოსწავლეებს აქვთ გარდატეხის ასაკი, ისინი ცდილობენ იპოვონ და დაიმკვიდრონ საკუთარი თავი საზოგადოებაში და ხშირად არიან გაურკვევლობაში. მათ აწუხებთ და აშფოთებთ ის ფაქტი, რომ მშობლები ყოველთვის გარშემო არიან. ფიქრობენ, რომ ზედმეტად აკონტროლებენ მათ (Beghetto,2001)

თუმცა, მშობლის და პედაგოგის აქტიური კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია, ასეთ გარდამტეხ, სახიფათო და მგრძნობიარე ეტაპზე.. თუმცა, განსხვავებული ფორმით, ვიდრე დაწყებით საფეხურზე.

ამ შემტხვევაში უმჯობესია სატელეფონო და ვირტუალური ურთიერთობა. ეს საშუალებას მისცემს მშობლებს და პედაგოგებს დისტანციურად ქონდეთ კავშირი- მიიღონ შეტყობინებები, განიხილონ სხვადასხვა პრობლემები, პრობლემური თემები, გაცვალონ ინფორმაცია და სხვა.

ვირტუალურმა ურთიერთობამ შეიძლება გააქროს საბაზო სკოლის მოსწავლეების ის უსიამოვნო გრძნობები, რასაც მათი მშობლების სკოლაში გამოჩენა იწვევს. ვირტუალური კონტაქტი ვერ შეცვლის მშობელთა ჩართულობის ტრადიციულ ფორმებს, თუმცა გაამდიდრებს და გაზრდის მას (Beghetto,2001)

2.6 მშობელთა ჩართულობის კუთხით არსებული მდგომარეობა საქართველოში (საკანონმდებლო ბაზის ანალიზი)

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის საკითხი საქართველოში რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით:

- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- ეროვნული სასწავლო გეგმა;
- სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი;
- საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი
- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ აწესრიგებს ზოგადსაგანმანათ-ლებლო დაწესებულებების სააქმიანობის განხორციელების პირობებს, მართვისა და დაფინანსების წესს. ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს,საქმიანობის, დაფუძნების, აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და პედაგოგთა საქმიანობის წარმართვის წესს.

აღნიშნული კანონის მე-7 თავი ეთმობა სკოლის სამეურვეო საბჭოს.

სამეურვეო საბჭო წარმოადგენს სკოლის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს. რომელიც შედგება პედაგოგიური საბჭოსა და მშობლების მიერ არჩეული, თანაბარი

რაოდენობის არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წევრისგან. ასევე, მოსწავლეთა თვითმმართველობის 1 და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აგრეთვე, 1 წარმომადგენლისგან. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78)

სამეურვეო საბჭო განიხილავს და წყვეტს და ამტკიცებს სკოლისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მე-4 თავის მე-18 მუხლის თანახმად სკოლას ევალება პროექტების, საკლუბო, სახელოვნებო აქტივობების (მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების ცართულობით) განხორციელება.

მშობლების, მოსწავლეების და პედაგოგების ჩართულობით თანამშრომლობითი და შემოქმედებითი გარემოს შექმნა.

ესგ-ს მიხდვით, დამრიგებლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლებთან ურთიერთობისას. დამრიგებლის მოვალეობები კი შემდეგნაირადაა განმარტებული:

- მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში შუამავლობა
- მოსწავლისა და მისი მშობლისთვის მათი უფლება-მოვალეობების გაცნობა;
- მშობლისთვის მოსწავლის აკადემიური მიღწევის, პიროვნული პრობლემების, დისციპლინის და წარმატებების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება
- მშობლისთვის მოსწავლესა და სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება.

საჯარო დირექტორის ეთიკის სტანდარტი დირექტორს მიუთითებს, რომ მან უნდა გაითვალისწინოს მშობელთა ინტერესები და საჭიროებები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვისას.

საჯარო დირექტორის ეთიკის კოდექსის მიხედვით მან ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობას; მშობელთა სურვილის შემთხვევაში,

უნდა განუმარტოს სასწავლო გეგმა და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური შეხვედრები უნდა მოაწყოს ხოლმე.

პედაგოგის პროფესიული სტანდარტი პედაგოგსაც ავალდებულებს მშობელთა ჩართულობის უზრუნველყობას, რაც გულისხმობს იმას, რომ პედაგოგი უნდა თანამშრომლობდეს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან, იცავდეს მათთან ურთიერთობის მიდგომებს, ხელს უნდა უწყობდეს კლასგარეშე აქტივობებში მშობელთა მონაწილეობას; იყოს მათთან ურთიერთობის ინიციატორი.

ხოლო, **პედაგოგთა ეთიკის კოდექსის მიხედვით,** პედაგოგები მშობლებთან უნდა იყვნენ თავაზიანები; უნდა განუმარტონ სასწავლო გეგმისა და სწავლების მეთოდების შესახებ, ყოველწლიურად; მშობელს დროულად უნდა მიაწოდოს მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ან დისციპლინური გადაცდომის შესახებ ინფორმაცია; თუ მოსწავლე არ გამოცხადდება, დაუყოვნებლივნუნდა აცნობოს მშობელს. კლასის დამრიგებელს უნდა ჰქონდეს საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში, დროულად დაუკავშირდეს მშობლებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონმდებლობაში გაწერილია მხოლოდ ზოგადი რეგულაციები. თავად „მშობელთა ჩართულობის“ პროცედურები საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით იმდინარეობს და არავინ აკონტროლებს აღნიშნული პროცესის სისწორეს.

ასევე, არცერთ დოკუმენტში არ არის განმარტებული ტერმინის „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“ მნიშვნელობა. ამიტომ, ვთვლი, რომ აღნიშნული თემა ზოგიერთისთვის ბუნდოვანია და თავისებურად ესმის.

2019 წელს დაიწყო განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა, რომლის მიზანი ბავშვის სკოლაში დაბრუნება, ნაკლები ბიუროკრატიული პროცესები, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლეზე როიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვაა, აგრეთვე, საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია.აღნიშნული პროცესები თავისთავად გულისხმობს სასკოლო ცხოვრებასი მშობელთა ჩართულობის მაღალ სტანდარტებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იზიარებს მშობლის ჩართულობის აუცილებლობას და 2012 წლიდან გაეროს ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „მშობელთა ჩართულობა შვილის სასკოლო ცხოვრებაში“, რაც მიზნად ისახავს მშობელთა ჩართულობის გაზრდას. აღნიშნული პროექტი მოიცავდა მხოლოდ დაწყებით საფეხურს. (საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო 2013)

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში (GPriED) ფარგლებში მომზადდა მშობლებისთვის განკუთვნილი აქტივობებისა და სავარჯიშოების კრებული, რომელიც შეიცავს კითხვისა და მათემატიკის განმავითარებელ აქტივობებს, რაც ეხმარება მშობელს უფრო დაახლოვდეს ბავშვთან და ხელი შეუწყოს ბავშვის უნარების განვითარებას. აღნიშნული კრებული 2015 წელს დაურიგდა პროექტის 122 საპილოტე ჯგუფს. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015)

ასევე, 2015 წელს გაიმართა ფართომასშტაბიანი მშობელთა კონფერენცია სახელწოდებით „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“, რომელსაც ესწრებოდნენ მშობლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მასწავლებლები, დირექტორები, განათლების ექსპერტები, ფსიქოლოგები, სხვადასხვა უწყების, სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული კონფერენციის განხილვის საგანს წარმოადგენდა მშობლის როლი განათლებაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა და სხვა. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერები სამინისტრო,2015)

2015 წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში, სადაც პირველად ჩაიწერა მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობის საკითხები (საქართველოს განათლებისა და მეცნიერები სამინისტრო,2015)

2016-2017 სასწავლო წლიდან დაიწყო ელექტრონული ჟურნალის ეტაპობრივი დანერგვა, სადაც გათვალისწინებულია მშობლებისთვის სპეციალური მოდული, რომელიც საშუალებას მისცემს მათ რეალურ დროში მიადევნონ თვალი შვილების შეფასებებს, გაცდენებს, იხილონ ინფორმაცია სახელმძღვანელოების, საგაკვეთილო

განრიგის, დავალებების შესახებ, ჰქონდეთ კომუნიკაცია დამრიგებელთან, საგნის მასწავლებელთან და ა.შ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერები სამინისტრო,2017)

2018 წელს პირველად იქნა გათვალისწინებული საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის საგამოცდო პროგრამაში მშობლებთან მუშაობის თემატიკა, რაც ადასტურებს იმას, რომ დღესაც მშობელთა ჩართულობის საკითხი საქართველოს განათლების და მეციერების სამინისტროსთვის არ კარგავს აქტუალობას.

აღსანიშნავია, ყველაზე ახალი, თუმცა მცირემასშტაბიანი კვლევა 2017 წელს განახორციელდა "კოალიცია განათლება ყველასათვის საქართველოს" ინიციატივითა და დაფინანსებით- „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“. პროექტის ბენეფიციარები საქართველოში მცხოვრები მოსწავლეები, მშობლები, ახალგაზრდები, მასწავლებლები იყვენ.

თუმცა, კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მომხდარიყო მშობლების ჩართულობის პოზიტიური ქეისების იდენტიფიკაცია სასკოლო ცხოვრებაში. კვლევის საკითხები გარდა ამისა, მოიცავდა სასკოლო ცხოვრების ზოგად შესწავლას და მისი წარმატებული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისა თუ ხარვეზების იდენტიფიკაციას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში. სამიზნე ჯგუფები კი, მხოლოდ რეგიონებს წარმოადგენდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას აქვს არასტრუქტურიებული, სპონტანური ხასიათი; რეალურად, სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც კერძო ინიციატივა უფრო, ვიდრე ფორმულირებული ქცევითი სტრუქტურა; სასკოლო ჩართულობასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოთხოვნები, როგორც მშობლების ისე მასწავლებლების მხრიდან, თუმცა საბოლოო ჯამში არ არსებობს კონკრეტული პატერნები რა ფორმით შეიძლება ეს ხდებოდეს;

საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოშვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები.

დღეს მშობლებს ენაცვლებიან ძიძები, რომლებიც მთელ დღეს ატარებენ ბავშვებთან, მართალია, საჭიროა სამსახური, მაგრამ ბავშვები უცხოვდებიან და მშობლები შვილებთან კარგავენ ავტორიტეტს. პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ჯგუფმა 5 000 მოსწავლე შეისწავლა და გამოარკვია, რომ ბავშვებს, ვისაც მშობლებთან ურთიერთობა აკლიათ, ოთხჯერ ნაკლები წარმატეტება აქვთ სწავლაში თანატოლებთან შედარებით. უყურადღებობის მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს, ეს შეიძლება იყოს როგორც მშობლის ასოციალური ქცევა, ასევე წარმატებული მშობლის დაძაბული სამუშაო გრაფიკი. ანუ ლოთისა და ნარკომანის შვილიც ისევე ზარალდება მშობელთან ურთიერთობის დეფიციტით, როგორც საოჯახო საქმეებზე ზედმეტად გადართული დიასახლისის, ან 24 საათით დაკავებული თანამდებობის პირთა შვილები.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ტემპი გაცილებით ჩქარია, ვიდრე იყო ჩვენი მშობლების დროს. გარდა ამისა, ყოფითი პრობლემების გამო, ვერ ახერხებენ მშობლები შვილებთან ურთიერთობას. როდესაც ისინი ზრუნავენ იმაზე, რომ შვილს ნორმალური საკვები ჰქონდეს, დაუკმაყოფილოს ფიზიოლოგიური თუ სხვა საჭირო მოთხოვნილებები. ამ ყველაფრის გამო აღარ რჩებათ შვილებთან საურთიერთობო დრო. მუდამ „მოუცლელი“, „საქმით დაკავებული“ მშობლების შესახებ სუხომლინსკი წერდა: „რაგინდ საპასუხისმგებლო, რთული შემოქმედებითი სამუშაოც უნდა გებაროთ წარმოებაში, იცოდეთ, რომ შინ გელით კიდევ უფრო საპასუხისმგებლო, უფრო რთული, უფრო ფაქიზი სამუშაო-ადამიანის აღზრდა.“

მშობელთა ნაწილი კმაყოფილდება მხოლოდ ბავშვის მატერიალური უზრუნველყოფით და მის აღზრდას მთლიანად სკოლას ანდობს.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ჩვენს მიერ არჩეული თემა, საკმაოდ მნიშვნელოვანი, აქტუალური და ამასთან, პრობლემატურია საქართველოში. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული საძიებო სამუშაოთი დადგინდა, არც საკმარისი კვლევები და აქტივობებია ამ მიმართულებით ჩატარებული.

აღსაღნიშნავია, ისიც, რომ არცერთი ზემოთჩამოთვლილი კვლევა თუ აქტივობა, არ გვთავაზობს საჯარო და კერძო სკოლებში არსებული მდგოარეობის შედარებით ანალიზს, მშობელთა ჩართულობის კუთხით.

შედარებითი ანალიზის კომპონენტით, ჩვენი კვლევა წარმოადგენს სიახლეს.

კვლევითი ნაწილი

საკითხის დასმა ბავშვის ჰარმონიულ პიროვნებად აღზრდისთვის, საუკეთესო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგების მისაღწევად, განუზომლად დიდია სკოლის და ოჯახის როლი, რაც მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით გამოიხატება.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იზრდება მათი მოტივაცია, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და უყლიბდებათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

კვლევები ცხადყოფს, რომ მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება, არა მარტო მოსწავლეზე, არამედ თავად მშობელზე, პედაგოგზე და ზოგადად, სკოლაზე.

სწორედ ამიტომ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად შეიძლება მივიჩნიოთ მშობელთა ჩართულობის საკითხი და მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა.

აგრეთვე, ძალიან საინტერესოა, არსებობს თუ არა განსხვავება მშობელთა ჩართულობის კუთხით საჯარო და კერძო სკოლებს შორის, ვინაიდან, აღნიშნულ თემაზე, შედარებითი ანალიზის კუთხით, საქართველოში კვლევები არასდროს ჩატარებულა.

კვლევის მიზანია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მხრივ არსებული მდგომარეობის დადგენა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო **საჯარო** და **კერძო** სკოლების საბაზო საფეხურის მაგალითზე, კერძოდ:

- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დონისა და მშობელთა ჩართულობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა;

- კერძო და საჯარო სკოლებს შორის, მშობელთა ჩართულობის მხრივ, მსგავსება-განსხვავების დადგენა.

კვლევის ჰიპოთეზებია:

- ზოგიერთი მშობელი სათანადოდ ვერ იცლის შვილების სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის;
- ზოგიერთ მშობელს სათანადოდ არ აქვს გაცნობიერებული შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უდიდესი მნიშვნელობა;
- ზოგიერთ შემთხვევაში, პედაგოგებსა და მშობლებს შორის კომუნიკაცია იშვიათია;
- ზოგიერთ სკოლას არ აქვს მიზნობრივად დაგეგმილი აქტივობები მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით (მშობელთა ჩართულობის მოდელი);
- საჯარო და კერძო სკოლებს შორის, მშობელთა ჩართულობის დონის მხრივ, არსებობს განსხვავება

კვლევის საგანია საჯარო და კერძო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კვლევა.

კვლევის ობიექტია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროცესი.

კვლევის ამოცანებია:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ჩატარება;
- მონაცემების დამუშავება;
- დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის მეთოდებად გამოვიყენე თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდი. კერძოდ:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება;

- ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლის დირექტორებთან და ფსიქოლოგებთან;
- დამრიგებლების და მშობლების გამოკითხვა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით

კვლევის სამიზნე ჯგუფს წამოადგენენ თბილისის კერძო და საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები და დამრიგებლები. ასევე, სკოლის დირექტორები და ფსიქოლოგები.

შერჩევა იყო მიზნობრივი.(თბილისის საჯარო და კერძო სკოლების საბაზო საფეხურის კლასები.) გამოკითხვაში მონაწილობა მიიღო 70-მა მშობელმა და 70-მა დამრიგებელმა. მათგან საჯარო და კერძო სკოლის წარმომადგენლები იყვნენ თანაბარი რაოდენობით: 35 საჯარო და 35 კერძო სკოლის მოსწავლეთა დამრიგებელი და 35 საჯარო და 35 კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობელი.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება კვლევის შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ ორივე ტიპის სკოლაში მშობელთა ჩართულობის დონე და ხარისხი გასაუმჯობესებელია. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები დაინტერესებულ პირებს დაეხმარება საკითხის უკეთ გააზრებასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში.

მშობლების კითხვარის ანალიზი:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის კერძო და საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთა 70 მშობელმა.

მათგან 35 კერძო სკოლის მოსწავლეთა მობელია და ასევე 35 საჯარო სკოლის მოსწავლის.

გამოკითხულთა 94,3 % დედაა, 5.7 %- ბებია.

მათი ასაკი 28-დან 65-მდე მერყეობს.

გამოკითხულთა უმრავლესობას 94,3 % უმაღლესი განათლება აქვს. მხოლოდ 2,9 % აქვს საშუალო განათლება და ამდენივეს პროფესიული.

მათი შვილების წლიური ნიშნების საშუალო მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: „6-7“- 14.3%; „8-9“- 57.1%; „10“ -28.6%

კვლევის შედეგების ანალიზისას აღმოჩნდა პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება მოსწავლის აკადემიურ მიღწევებსა და სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის დონეს შორის.

- **ინტერესდებით ბავშვის სასკოლო ცხოვრებით?**

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ორივე ტიპის სკოლის (საჯარო, კერძო) მოსწავლეთა მშობლების აბსოლუტური უმრავლესობა 91.4 % ინტერესდება ბავშვის სასკოლო ცხოვრებით.

- **მიმაჩნია, რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობა მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატებისთვის**

მშობელთა აბსოლუტური უმრავლესობა 100% ეთანხმება შვილის სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის დიდ მნიშვნელობას. (იხ.დიაგრამა N1)

დიაგრამა N1



❖ **რა ფორმით ხართ ჩართული შვილის მეცადინეობის პროცესში შინ ?**

როგორც მიღებული პასუხებიდან ირკვევა, ყველაზე ხშირად მშობლების შინ ჩართულობა- მეცადინეობის პროცესში, გამოიხატება კონტროლით, მოამზადა თუ არა ბავშვმა გაკვეთილები. იდენტური სიტუაციია ორივე ტიპის სკოლაში.

საჯარო სკოლის შემთხვევაში მეორე ადგილზეა, უშუალოდ მეცადინეობაში დახმარება. კერძო სკოლის შემთხვევაში, მეორე ადგილას რეპეტიტორთან მომზადებაა.

როგორც ჩანს, საჯარო სკოლის მშობლები უფრო აქტიურად მონაწილეობენ შვილების მეცადინეობის პროცესში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეპეტიტორებთან მომზადების ფაქტი ორივე ტიპის სკოლაში მაღალია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სკოლის შემთხვევაში, 4%-ით მეტია. როგორც ჩანს, მხოლოდ კლასში ბავშვების რაოდენობის სიმცირეზე არაა დამოკიდებული მიღებული განათლების ხარისხი.(იხ.დიაგრამა N2)

დიაგრამა N2



❖ **ვესაუბრები ბავშვს მომავალი პროფესიის შესახებ**

გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა 71.4% აცხადებს , რომ შვილს ესაუბრება მომავალი პროფესიის შესახებ. 28.6% ცხადებს, რომ არა.

ამ კითხვაზე თითქმის ერთნაირი შედეგია როგორც საჯარო, ასევე კერძო ტიპის სკოლაში.

- **ვსაუბრობთ განვლილი სასკოლო დღის შესახებ**

როგორც ჩანს, მშობლები საკმაოდ ინტერესდებიან შვილის სასკოლო ცხოვრებით. გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობის პასუხია, რომ ხშირად 54.2%, ან ყოველთვის 28.5% საუბრობენ შვილთან გავლილი სასკოლო დღის შესახებ.

თითქმის ანალოგიური შედეგია ორივე ტიპის სკოლის შემთხვევაში. (იხ. დიაგრამა N3)

დიაგრამა N3



- **ვცდილობ ბავშვს მხარი დავუჭირო, გავამხნევო და სტიმული მივცე, რათა აუმაღლდეს თვითშეფასება და გაუჩნდეს თავისი თავის რწმენა**

აღნიშნულ დებულებაზე გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებით პოზიციას აფიქსირებს.

შობლების მორალური მხარდაჭერა ერთნაირად მაღალია ორივე ტიპის სკოლაში.(იხ.დიაგრამა N4)

დიაგრამა N4



- **რა ფორმით ცდილობთ წაახალისოთ მოზარდი, რათა დაეუფლოს ახალ ცოდნასა და უნარებს?**

საინტერესო პასუხები მივიღე კითხვაზე, თუ რა ფორმით ცდილობენ მშობლები მოზარდის წახალისებას, რათა დაეუფლონ ახალ ცოდნასა და უნარებს:

- „შექება, სიტყვიერი წახალისება";
- „რაიმე სახის ჯილდო",
- „მატერიალური წახლისება";
- „საკუთარი გამოცილების გაზიარება";
- „საუბარი წარმატებული ადამიანების შესახებ";
- „მშობლის მაღალი მოლოდინი. "

„ ვაწვდი ინფორმაციას, ვმსჯელობთ, ვუხსნი რისთვის არის საჭირო ახალი უნარები"; „ვესაუბრები და ვურჩევ, რომ ეს მისი მომავლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება. მომყავს წარმატებული ადამიანების მაგალითები";

„ვუყვები ისეთ რეალურ ისტორიებს (ჩემი, მამის, ბებიის, ნაცნობების ცხოვრებიდან) რომ სურვილი უჩნდება, მოტივაცია უმაღლდება რომ იყვნენ უფრო განათლებულები. ვაქებ ხშირად, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა კარგად იქცევიან და კარგად სწავლობენ“;

„ვცდილობ ხელი შევუწყო ინტერესის ახალი სფეროების გაღრმავებაში“;

„საკუთარ გამოცდილებას ვუზიარებ, არ ვმალავ ჩემს მარცხებს“;

„ვაცნობ წარმატებულ, შრომისმიყვარე ადამიანებს. შესაძლებლობის ფარგლებში ვუსრულებ სურვილებს. ყურადღებას ვამახვილებ მათ წარმატებებზეც“;

„ვცდილობ ისე დავაინტერესო, რომ თვითონვე მოუნდეს, თავისი ნებით გაკეთება.

- **რამდენად ხშირად ეკონტაქტებით პედაგოგებს?**

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობამ 57.1% აღნიშნა, რომ თვეში ერთხელ მაინც აქვს კონტაქტი პედაგოგთან. მხოლოდ 20% აფიქსირებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც ეკონტაქტება პედაგოგებს. 8.6% ამბობს, რომ სემესტრში ერთხელ მაინც.

კერძო სკოლის შემთხვევაში, თანაბარმა რაოდენობამ 34.2 % დაასახელა,რომ კვირაში ერთხელ მაინც/თვეში ერთხელ მაინც კონტაქტობს პედაგოგებთან. კვირაში რამდენჯერმე კონტაქტი დაასახელა 14.3%; ხოლოდ „სემესტრში ერთხელ მაინც“ და „ყოველდღიურად“ ისეთივე რაოდენობამ, როგორც საჯაროში.

როგორც პასუხებიდან ირკვევა, მშობლებსა და პედაგოგებს შორის კონტაქტი, კერძო სკოლებში უფრო ხშირია. ამის მიზეზი, როგორც შემდგომი ინტერვიუებიდან ირკვევა, კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა. (იხ.დიაგრამა N5)

დიაგრამა N5



❖ **პედაგოგთან კონტაქტის ინიციატორი უმეტესად ვინ არის?**

პედაგოგებთან კონტაქტის ინიციატორი ორივე ტიპის სკოლაში უფრო პედაგოგია. თავად მშობელები პედაგოგებს, ბავშვთან დაკავშირებული რაიმე პრობლემის არსებობის დროს მიმართავენ.(იხ.დიაგრამა N6)



- **ყველაზე ხშირად რა გზით ურთიერთობთ სკოლასთან და პედაგოგებთან?**

ორივე ტიპის სკოლის შემთხვევაში, კომუნიკაციის ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ფორმაა სატელეფონო საუბრები 68.6%; შემდეგ დაასახელეს პირისპირ შეხვედრა 54.3%; შემდგომ, სოციალური ქსელი 25.7%; მოკლე ტექსტური შეტყობინება 20%; ელექტრონული ფოსტა 8.6%.

კონტაქტის ყველაზე არაპოპულარული გზა, საინფორმაციო დაფა და სასკოლო საინფორმაციო ბიულეტინი აღმოჩნდა.(იხ.დიაგრამა N7)

დიაგრამა N7



- **გთხოვთ მონიშნოთ ყველა სასკოლო აქტივობა, რომელშიც ჩართული ხართ/იყავით წელს, ან ბოლო ორი წლის განმავლობაში**

სასკოლო აქტივობებში მშობელთა მონაწილეობის კუთხით, ორივე ტიპის სკოლაში ანალოგიური ვითარებაა.

მშობელთა უმრავლესობისთვის სასკოლო აქტივობებში მონაწილეობა შემოიფარგლება ძირითადად , მშობელთა კრებებზე და ექსკურსიებზე დასწრებით. მათი სხვა ფორმით ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, კერძო ინიციატივაა და სპონტანური სახისაა. (იხ.დიაგრამა N8)

დიაგრამა N8



- **ჩამოთვილთაგან, რომელი წარმოადგენს თქვენთვის ბარიერს შვილის საკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობისას**

უმრავლესობისთვის მთავარ ბარიერს წარმოადგენს აქტივობის დროის შეუთავსებლობა სამუშაო გრაფიკთან 85.7%, ასევე, თავისუფალი დროის დეფიციტი

80% , შეგრძნება რომ სკოლაში არასასურველი სტუმარია 20%; მშობელს და სკოლას შორის ოფიციალური და დაძაბული გარემო 20%.

მხოლოდ 17.1% აცხადებს, რომ ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისას ბარიერი არ ჰქონია. აგრეთვე 20% აცხადებს, რომ მსგავსი აქტივობები სკოლას არ აქვს.

უფრო კონკრეტულად, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: (იხ.დიაგრამა N9)

დიაგრამა N9



- **პედაგოგი რეგულარულად საქმის კურსში მაყენებს ჩემი(მშობლის) კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესახებ (სასწავლო გეგმისა და სკოლის შინაგანა წესის გაცნობა; სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება...)**

აღნიშნული დებულება უმრავლესობამ 64.9 %-მა დაადასტურა.

როგორც ჩანს, ორივე ტიპის სკოლაში, მშობლები ინფორმირებულები არიან მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

აღნიშნულ კითხვაზე საჯაროსა და კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.(იხ.დიაგრამა N10)

დიაგრამა N10



- **ძირითადად, პედაგოგებთან მაშინ ვთანამშრომლობ, როცა რაიმე პრობლემა აქვს ბავშვს**

მშობელთა უმრავლესობამ აღიარა, რომ, ძირითადად, პედაგოგებთან მაშინ თანამშრომლობენ, როცა რაიმე პრობლემა აქვს ბავშვს.

როგორც ჩანს, მშობლები პასიურობენ სკოლასთან ურთიერთობისას,.

აღნიშნული შედეგი ანალოგიურია ორივე ტიპის სკოლაში.(იხ.დიაგრამა N11)

დიაგრამა N11



- **პედაგოგები, ძირითადად, მაშინ მეკონტაქტებიან, როცა რაიმე პრობლემა აქვს ბავშვს**

ის ფაქტი, რომ პედაგოგებიც, ძირითადად, მაშინ ეკონტაქტებიან მშობლებს, როცა ბავშვთან დაკავშირებით, რაიმე სახის პრობლემაა, დაადასტურა გამოკითხულთა უმრავლესობამ, სადაც საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების რაოდენობა (82.8%) სჭარბობს კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების რაოდენობას(51.4%). როგორც ჩანს, კერძო სკოლის პედაგოგები შედარებით იტენსიურად ეკონტაქტებიან მშობლებს. თუმცა, როგორც შემდგომ ინტერვიუებიდან გაირკვა, ამის მიზეზი კერძო სკოლის კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა.(იხ.დიაგრამა N12)

დიაგრამა N12



❖ **მე და პედაგოგი ერთობლივად ვცდილობთ ხოლმე გადავჭრათ ბავშვთან დაკავშირებული პრობლემა (პედაგოგი რჩევებს მაძლევს, თუ როგორ დავეხმარო ბავშვს სწავლაში უკეთესი შედეგის მისაღწევად)**

როგორც აღმოჩნდა, ორივე ტიპის სკოლის მოსწავლეთა მშობლები კმაყოფილები არიან პედაგოგებთან თანამშრომლობით, როდესაც საქმე ბავშვთან დაკავშირებულ პრობლემას ეხება, ვინაიდან აღნიშნულ დებულებას მშობელთა სრული უმრავლესობა 82.9 % ეთანხმება („სრულიად ვეთანხმები“ 38.6%; „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არეთანხმები“ 44.3%)

ნეიტრალურ პოზიცია დააფიქსირა გამოკითხულთა 11.4 %; სრულიად არ ეთანხმება 5.7%.

აღნიშნულ კითხვაზე საჯაროსა და კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.

❖ **სკოლიდან რეგულარულად მაწვდიან ინფორმაციას ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ**

აღნიშნულ დებულებაზე პასუხები ორად გაიყო. ნახევარზე ცოტა მეტი (57.2%) კმაყოფილია და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეგულარულად აწვდიან სკოლიდან ინფორმაციას ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ.

აღნიშნულ დებულებას სრულიად დაეთანხმა 31.5%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება 25.7%;

თუმცა, პასუხისგან თავი შეიკავა, ანუ ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა გამოკითხულთა 20%; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება 11,4 % და ანალოგიურად, სრულიად არ ეთანხმება 11,4%.

აღნიშნულ კითხვაზე საჯაროსა და კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.

❖ **მიმაჩნია, რომ სკოლას არ სურს მშობელი იხედებოდეს სკოლის „შიდა სამზარეულოში**

როგორც ჩანს, მშობლები არ ეთანხმებიან იმ პოზიციას, რომ სკოლას არ სურს ისინი ჩაახედოს შიდა საქმეებში, ვინაიდან გამოკითხულთა უმრავლესობა 61.5% არ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას. სრულიად არ ეთანხმება 22.9%; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება 38.6%. ნეიტრალური პოზიცია 18.6% დააფიქსირა; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება 12.9%; ხოლო სრულიად ეთანხმება 7.14%.

აღნიშნულ კითხვაზე საჯაროსა და კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.

❖ **მშობლებსა და სკოლას შორის გარემო ოფიციალური და დაძაბულია**

გამოკითხულთა უმრავლესობა 61.4% თვლის, რომ მასსა და სკოლას შორის გარემო ოფიციალური და დაძაბული არაა.

უფრო კონკრეტულად: დებულებას სრულიად დაეთანხმა მშობელთა 8.6%; უფრო დაეთანხმა, ვიდრე არ დაეთანხმა 15.7%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 14.3%; უფრო არ დაეთანხმა,ვიდრე დაეთანხმა 38.6%; ხოლო სრულიად არ დაეთანხმა 22.9%.

არც ამ დებულებაზე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავება საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების პოზიციას შორის.

❖ **ვთვლი, რომ ბავშვის აკადემიურ მიღწევებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ სკოლას ეკისრება**

მშობელთა უმრავლესობა, ორივე ტიპის სკოლის შემთხვევაში, არ ეთანხმება დებულებას, რომ მხოლოდ სკოლას ეკისრება ბავშვის აკადემიურ მიღწევებზე პასუხისმგებლობა. (საჯარო 45.7%; კერძო 43.6%)

თუმცა, როგორც ჩანს, კერძო სკოლის მშობლები უფრო მეტად ავალდებულებენ სკოლას ბავშვის აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით, ვინაიდან კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების 34% ეთანხმება აღნიშნულ დებულებას. მაშინ, როცა საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების მხოლოდ 17% ეთანხმება, რომ მხოლოდ სკოლაა ბავშვის აკადემიურ მიღწევებზე პასუხისმგებელი. (იხ.დიაგრამა N13)

დიაგრამა N13



❖ **ჩამოთვილთაგან, რომელი წარმოადგენს თქვენთვის ბარიერს შვილის საკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობისას**

რაც შეეხება, ზოგად ბარიერებს, რაც მშობლებს ხელს უშლის ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობისას, უმრავლესობამ (65.7%) დაასახელა დღის დატვირთული გრაფიკი; 22.9% მასსა და სკოლას შორის კომუნიკაციის ნაკლებობა; 14,3% შობლებსა და სკოლას შორის ოფიციალური და დაძაბული გარემო; 11,4% მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები; 5,7% უარყოფითი განწყობა, უნდობლობა სკოლის მიმართ; მხოლოდ 5,7% დააფიქსირა, რომ შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისთვის არ ჰქონია ბარიერი.

აღნიშნულ კითხვაზე სტატისტიურად მნიშვნელოვანი განსხვავება, კერძოსა და საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების პოზიციას შორის არ გამოკვეთილა. ორივ ტიპის სკოლის მოსწავლების მთავარი ბარიერები, შვილების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კუთხით, იდენტურია.(იხ.დიაგრამა N14)

დიაგრამა N14



- **ძირითადად, რა პრობლემებს აწყდებით სკოლასთან (პედაგოგებთან) ურთიერთობისას და რა არის ამისი მიზეზი ?**

ღია კითხვაზე, თუ რა პრობლემებს აწყდებიან მშობლები პედაგოგებთან ურთიერთობისას, მიღებული პასუხების მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- პედაგოგების მიერ სწავლების არასწორი და არაეფექტური მეთოდების გამოყენება;
- პედაგოგების არაობიექტურობა;
- პედაგოგების არადამაკმაყოფილებელი პროფესიული კვალიფიკაცია;
- პედაგოგების მიერ მოსწავლეების არაეთიკური „ეპითეტებით შემკობა";
- კომუნიკაციის ნაკლებობა როგორც მშობლებთაან, ასევე მოსწავლეებთან;

„მასწავლებლები თავდაცვის პოზიციაში არიან, მშობლები თავდასხმის...თანამშრომლობა რთულია..."

„ვფიქრობ, რომ ზოგიერთი პედაგოგი ნაკლებად ითვალისწინებს ბავშვის ნაზ ფსიქიკას და დიდაქტიკური ტონი აქვთ. ამის გამო მეძაბება პედაგოგებთან ურთიერთობა."

„მარტო პარასკევობით, 2 საათის შემდეგ შეიძლება შესვლა სკოლაში და მაშინაც მასწავლებლები უკვე წასულები არიან სკოლიდან. ბევრ მასწავლებელს, პირადად მე, არ ვიცნობ! კრებას მხოლოდ დამრიგებელი და მშობელი ესწრება. სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ, რომ კრებაზე ყველა მასწავლებელი იყოს. ამიტომ, ვერ ვიგებ, რეალურად, პედაგოგების პოზიციას, თუ რა პრობლემები აქვთ ბავშვებს. პარასკევობითაც, მიჩნდება შეგრძნება, რომ მასწავლებლები მიყურებენ და ფიქრობენ: ,,რა უნდა?! " ,""მეტი საქმე არ აქვს?!" რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, თუმცა ხშირია ასეთი შემთხვევა, რის მერეც აღარ მიჩნდება სკოლაში მისვლის სურვილი."

„ხშირად, პედაგოი გვაძლევს მშრალ ინფორმაციას ბავშვის შესახებ, რამდენიმესიტყვიანს. ვერ ვიგებ, რა უჭირს, რა ულხინს, ვერ იგებს რამეს, თუ, პირიქით, კარგად იგებს; ვერ ვხდები აქტიურობს, უზრდელობს, სხვა ბავშვებთან როგორ ურთიერთობს და ა. შ. "

„ბავშვების შეურაცხყოფა, ძირითადად ასაკობრივი პედაგოგების მხრიდან, ვთვლი, რომ მნიშვნელოვანი პრობლემაა. ასევე, მშობლთან და კლასის თანდასწრებით.უკმაყოფილების გამოხატვის შემთხვევაში, ცუდი ნიშნით დასჯა.“

„მოსწავლეებს რუტინული სასკოლო ცხოვრების გარდა, არ სთავაზობენ არანაირ სხვა აქტივობებს განვითარებისთვის.“

„ზოგიერთი პედაგოგი არაობიექტურია. ხშირად ბავშვებთან შერჩევითი დამოკიდებულება აქვთ.“

„ზოგიერთი პედაგოგი გულგრილად უდგება თავის საქმეს. თვლიან, რომ თუ ბავშვი არ არის ამ საგნით დაინტერესებული, თვითოაც არ უნდა დააინტერესონ და არაფერი გააკეთონ ბავშვის მოტივაციის ამაღლებისთვის.“

„სასურველია მეტი თანამშრომლობა მშობელსა და პედაგოგს შორის. ორივე ძალა ერთობლივად უფრო დიდ გავლენას მოახდენდა მოსწავლეზე!“

„ვთვლი, რომ მასწავლებლები უნდა ითვალისწინებდნენ ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ ინტერესს, ცოდნას, შესაძლებლობას. ამის მიხედვით უნდა ადგენდეს სასწავლო გეგმას. ყველა მოსწავლეს ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს, აუხსნას და გააგებინოს კონკრეტული საკითხი. ბევრი ასე არ იქცევა, რის გამოც ხშირად ვაწყდებით პრობლემებს.“

მიუხედავად ზოგიერთი მშობელის უკმაყოფილებისა, შედარებით მცირე რაოდენობა, რამდენიმე მშობელი, საპირისპიოს აღნიშნავს! ამბობენ, რომ მათსა და პედაგოგებს შორის ჰარმონიული ურთიერთობაა.

„მსგავსი პრობლემები არ გვქონია. პედაგოგები და სკოლა ყოველთვის გამოხატავს მზაობას ჩემთან კომუნიკაციისთვის“

„ბარიერი არ მაქვს. ადმინისტრაციასა და მშოობელს შორის არის მეგობრული, თანამშრომლობითი დამოკიდებულება“

„ჩემთან ყველა პედაგოგი თანამშრომლობს. არ მქონია არანაირი პრობლემა“

„გრუშევსკის სახელობის ქართულ-უკაინული 41 საჯარო სკოლა, სადაც ჩემი 3 შვილი სწავლობს, არის სამაგალითო მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ჰარმონული კომუნიკაციის თვალსაზრისით. კონტაქტი ხდება ყოველთვის დროულად, რაიმე ღონისძიებეზე ინფორმაცია მოდის დროულად; სკოლის ადმინისტრაცია ყოველთვის გამოხატავს მზაობას მშობელთან მჭიდრო ურთიერთობისთვის. მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით ჩვენს სკოლაში ყველაფერი ათიანზეა!“

- **რა რეკომენდაციას მისცემდით თქვენი შვილის სკოლას მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის და ამ კუთხით, მუშაობის მეტად ეფექტურობისთვის?**

მშობელთა ნაწილმა მშობელთა ჩართულობის დონის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზებიც შემოგვთავაზა:

- მშობლის და პედაგოგის ინდივიდუალური შეხვედრები;
- ტრენინგებიდირექტორებისთვის მშობელთა ჩართულობის დონის გაზრდის კუთხით;
- ობიექტური, მიუკერძოებელი პედაგოგები;
- მრავალფეროვანი აქტივობები მშობლების მონაწილეობით;
- მუშაობა უფროსკლასელების არასწორი დამოკიდებულების შეცვლაზე, მათი მშობლების სკოლაში მისვლასთან დაკავშირებით;
- დირექციის, პედაგოგის, მშობლის ერთობლივი მუშაობა ბავშვთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრისთვის.
- ღია გაკვეთილები მშობლების მონაწილეობით;
- ელექტრონული ჟურნალი;
- მშობელთა კომიტეტი (კერძო სკოლებისთვის)

„ტრენინგები უნდა ჩატარდეს მასწავლებლებისთვის და დირექციისთვის. სამინისტრომ უნდა დაისახოს პრიორიტეტად ეს თემა!“

„როგორც არ უნდა იაქტიურონ ამ კუთხით,მე მაინც ვერ შევძლებ ჩართვას მძიმე სოციალური ფონის და დროის დეფიციტის გამო.“

„პირველ რიგში, სკოლაში ნაკლებად მიკერძოებული პედაგოგები უნდა იყვნენ!“

„არ ვიცი როგორ, მაგრამ ისე მოვიქცეოდი, რომ უფროსკლასელებისთვის თავიანთი მშობლების მისვლა სკოლაში ,,არ ტეხავდეს". მოვიწვევდი კლასის ყველა მშობელს რიგრიგობით და პერიოდულად ჩავატარებინებდი ღია გაკვეთილს სვადასხვა თემაზე. მაგალითად, თავისი პროფესიის შესახებ მოვაყოლებდი მშობელს., შედეგად, ბავშვებისთვის ადვილი გახდებოდა საინტერესო პროფესიის არჩევა. არ შევზღუდავდი ბავშვებს ჩაცმასა და ვარცხნილობის შერჩევაში და საერთოდ, არაფერში არ შევზღუდავდი, ოღონდ, მანამდე კარგად ვასწავლიდი რა არის კარგი საქციელი და რა ცუდი, რა არის ფასეული და რა არა. შემოქმედებითს გავხდიდი ბავშვს და არა დაშტამპულს. კიდევ იმდენი იდეა მაქვს სკოლებთან დაკავშირებით... მაგრამ, მგონია, ესეც, მხოლოდ გამოკითხვისთვის და ანკეტის შევსებისთვისაა საჭირო, რადგან რეალურად, არაფერი კეთდება არასდროს!“

„იყვნენ ობიექტურები! მეტი კომუნიკაცია! მხოლოდ მოვალეობებზე არ უნდა აწერინებდნენ ხელს მშობლებს. ,,შეგნებული,, მშობლები იმსახურებენ კეთილგანწყობას.“

„ჩაატარონ გამოკითხვა მშობლებში და აუცილებლად იპოვიან ჩემნაირ მშობლებს, რომლებსაც, სკოლის სურვილის შემთხვევაში, ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ სკოლისთვის.“

„როცა ბავშვთან დაკავშირებით ვაწყდებით პრობლემებს, დირექტორი უნდა ატყობინებდეს მშობელს და ერთობლივად უნდა შემუშავდეს და დაინერგოს მეთოდები არსებული პრობლემის დაძლევისთვის.“

„სკოლა ვალდებულია გაითვალისწინოს მშობლების მხრიდან წამოყენებული პრობლემები, კერძოდ, როცა პედაგოგი არაკვალიფიციურია და არ ასრულებს თავის მოვალეობას, ასეთი პედაგოგის საკითხი დასმული უნდა იქნას და განიხილოს სკოლის საბჭომ და სათანადო ზომები მიიღოს. ყალბი დაპირებებით არ უნდა გააჩუმოს და ჩაფარცხოს არსებული პრობლემა, რაც სკოლას სახელს უტეხავს

მიმაჩნია, რომ მშობელთა ჩართულობა აუცილებელია. სკოლამ უნდა მოითხოვოს, რომ ბავშვის განვითარებისთვის ერთობლივი მუშაობა გაგვიყვანს შედეგზე: სკოლა, მშობელი, მოსწავლე

ჩვენს სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, სადაც, წესით ყოველდღე უნდა იწერებოდეს ბავშვთან დაკავშირებული ყველა საკითხი. რომ მუშაობდეს ეს სისტემა სისტემატურად, ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნებოდა, როგორც მშობლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის

დაგეგმონ აქტივობები, სადაც უშუალოდ მშობლები მიიღებენ მონაწილეობას: საუბრები,შეხვედრები. მშობლები ჩაატარებენ ამ აქტივობებს პროფესიიდან გამომდინარე: ექიმები, პილოტები, პოლიციელები, მსახიობები, მწერლები და ა.შ)

შეიქმნას მშობელთა კომიტეტი. ასევე, საჯარო სკოლებში არსებობს "სამეურვეო საბჭო", სადაც მასწებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. იღებენ სხვადასხვა საკითხში მონაწილეობას, ერთად წყვეტენ პრობლემებს და ა.შ. მსგავსი იყოს კერძო სკოლაშიც

მასწავლებლის კითხვარის ანალიზი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის კერძო და საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის კლასების 70 დამრიგებელმა.

მათგან 35 კერძო სკოლის დამრიგებელია და ასევე 35 საჯარო სკოლის დამრიგებელი.

გამოკითხული პედაგოგების უმრავლესობა 88.6% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. მხოლოდ 11.4% მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

პედაგოგების ასაკი მერყეობს 24-დან 67 წლამდე.

უმრავლესობა 42.9% VII კლასის დამრიგებელია; 25.7 % VIII კლასის დამრიგებელი, ხოლო 31.4% IX კლასის დამრიგებელია.

- **მიმაჩნია, რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობა მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატებისთვის**

გამოკითხულ პედაგოგთა აბსოლუტურ უმრავლესობას 100 % მიაჩნია, რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობა მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატებისთვის.

- **რამდენად ხშირად თანამშრომლობთ თქვენი მოსწავლეების მშობლებთან?**

კითხვზე „რამდენად ხშირად თანამშრომლობთ თქვენი მოსწავლეების მშობლებთან?“ პაუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

საჯარო სკოლების დამრიგებლების უმრავლესობამ 48.6% აღნიშნა, რომ თვეში ერთხელ მაინც ეკონტაქტება მშობლებს. 28.6% კი კვირაში ერთხელ მაინც.

კერძო სკოლების დამრიგებლების უმეტესობა- აგრეთვე 48.6% აღნიშნავს, რომ კვირაში ერთხელ ეკონტაქტება მშობლებს. 20% ამბობს,რომ თვეში ერთხელ მაინც.

როგორც ჩანს მშობლებთან კონტაქტი კერძო სკოლებში უფრო ინტენსიურია. როგორც შემდგომ დირექტორებთან ინტერვიუებში გაირკვა, ამის მთავარი მიზეზი კლასებში მოსწავლეთა დაბალი რაოდენობაა, შესაბამისად, უფრო მეტი და ინტენსიურია დამრიგებლის ყურადღებაც.

სამწუხაროდ,მშობლებთან კვირაში რამდენჯერმე და ყოველდღიური კონტაქტი ძალიან იშვიათად ხდება ორივე ტიპის სკოლაში.(იხ.დიაგრამა N15)

დიაგრამა N15



- **მშობელთან კომუნიკაციისას, ყველაზე ხშირად,რომელ ხერხს მიმართავთ? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)**

პედაგოგები ყველაზე ხშირად მშობლებს ტელეფონით ეკონტაქტებიან 88.6%; შემდეგ პირისპირ შეხვედრისას 68.6%; მოკლე ტექსტური შეტყობინებას იყენებს გამოკითხულთა 45.7%; ამდენივე პროცენტმა დაასახელა სოციალური ქსელი 45.7% (32).

როგორც მშობლების კითხვარის ანალიზისას გაირკვა, ანალოგიურად დამრიგებლების კითხვარის ანალიზისას გამოჩნდა ყველაზე პოპულარული და ყველაზე არაპოპულარული საკონტაქტო გზები.

დამრიგებლები ყველაზე იშვიათად იყენებენ ელექტრონულ ფოსტას14.3%; სასკოლო საინფორმაციო ბიულეტინს 8.6% და სასკოლო საინფორმაციო დაფას 5.7%

ამ კითხვაზე კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგების პასუხები თითქმის არ განსხვავდება. (იხ.დიაგრამა N16)

დიაგრამა N16



- **თუ მოსწავლე აცდენს გაკვეთილებს, აქვს დაბალი აკადემიური მოსწრება, ამის შესახებ, პირველ რიგში, ვის ატყობინებთ?**

უმრავლესობა თავდაპირველად ატყობინებს მხოლოდ მშობელს 48.6%; ერთდროულად დირექციას და მშობელს მიმართავს - 45.7% ; დირექციას- 5.7%

ამ კითხვაზე კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგების პასუხები თითქმის არ განსხვავდება.

- **მიმაჩნია, რომ მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში პოზიტიურად აისახება როგორც მოსწავლეზე, ასევე, სკოლასა და მასწავლებელზე**

როგორც ჩანს, პედაგოგები კარგად იაზრებენ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დადებით ეფექტს, ვინაიდან აღნიშნულ დებულებას როგორც საჯარო სკოლის პედაგოგები, ასევე კერძო სკოლის პედაგოგები თითქმის თანაბრად ეთანხმებიან 91.5% .

სრულიად ეთანხმება- 57.1%; უფრო ეთანხმება,ვიდრე არ ეთანხმება- 34.3%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 2.9% და სრულიად არ ეთანხმება 5.7 % .

ამ კითხვაზე კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგების პასუხები თითქმის არ განსხვავდება.

- **მშობლები პარტნიორებად მიმაჩნია აღმზრდელობით პროცესში**

სასიამოვნოა, როდესაც აღნიშნულ დებულებას პედაგოგების სრული უმრავლესობა 91.5% ეთანხმება.

სრულიად ეთანხმება- 62.9%; ეთანხმება- 28.6%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 2.9% და სრულად არ ეთანხმება- 5.7 %. მათგან , ვინც არ ეთანხმება 2 საჯარო სკოლის და 2 კერძო სკოლი პედაგოგია.

ანალოგიური სურათია ორივე ტიპის სკოლის შემთხვევაში

- **მშობელს საქმის კურსში ვაყენებ მათი კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესახებ (სასწავლო გეგმისა და სკოლის შინაგანა წესის გაცნობა; სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება)**

აღნიშნულ დებულებასაც ორივე ტიპის სკოლის პედაგოგების სრული უმრავლესობა 82.8% ეთანხმება.

სრულიად ეთანხმება 45.7%; ეთანხმება- 37.1%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 2.9% და სრულიად არ ეთანხმება 5.7 %.

- **მშობლებს რეგულარულად ვაწვდი ინფორმაციას ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ**

აღნიშნულ დებულებასაც პედაგოგების სრული უმრავლესობა 80% ეთანხმება.

სრულიად ეთანხმება 51.4%; ეთანხმება- 28.6%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 8.6% და არ ეთანხმება 5.7 %; ხოლო სრულიად არ ეთანხმება 5.7 %

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კითხვაზე დამრიგებლებისა და მშობლების პასუხები ერთმანეთს არ ემთხვევა.

- **მე და მშობლები ერთობლივად ვცდილობთ, გადავჭრათ ბავშვთან დაკავშირებული ესა თუ ის პრობლემა**

ამ დებულებასაც პედაგოგების სრული უმრავლესობა 85.7% ეთანხმება.

სრულიად ეთანხმება 54.3%; ეთანხმება- 31.4%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 2.9% და არ ეთანხმება 5.7 %; სრულიად არ ეთანხმება 5.7 %; მათგან , ვინც არ ეთანხმება 3 საჯარო სკოლის და 5 კერძო სკოლი პედაგოგია.

ამ კითხვაზე კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგების პასუხები თითქმის არ განსხვავდება.

- **მშობლებთან ურთიერთობის ინიციატორი, ძირითადად, მე ვარ**

პედაგოგების უმრავლესობა ადასტურებს, რომ მშობლებთან ურთიერთობის ინიციატორი ძირითადად თავად არის.

დებულებას სრულიად ეთანხმება 34.3% 24; ეთანხმება- 40% ; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 17.1% და არ ეთანხმება 2.9 %; სრულიად არ ეთანხმება 5.7 %.

აღნიშნულ კითხვაზე კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგების პასუხები თითქმის არ განსხვავდება.

- **მშობლები,მხოლოდ მაშინ მომმართავენ, როცა მოსწავლეს რაიმე პრობლემა აქვს**

ამ დებულებასაც პედაგოგების სრული უმრავლესობა ეთანხმება.

სრულიად ეთანხმება- 28.6%; ეთანხმება- 34.3%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 5.7 %; არ ეთანხმება 22.9 %; სრულიად არ ეთანხმება 8.6 %

კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგების უმრავლესობა ეთანხმება დებულებას. თუმცა, მათგან, რომლებიც არ ეთანხმებიან, უმრავლესობა საჯარო სკოლის პედაგოგია. როგორც ჩანს საჯარო სკოლის მშობლები შედარებით უფრო დაინტერესებულები არიან შვილის სასკოლო ცხოვრებით

- **ზოგიერთი მშობელი მთლიანად პედაგოგს აკისრებს მოსწავლის აღზრდის პასუხისმგებლობას**

აღნიშშნულ დებულებას ორივე ტიპის სკოლის პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება, თუმცა, განსაკუთრებით, კერძო სკოლის პედაგოგები თვლიან, რომ მშობლები მთლიანად მათ აკისრებენ მოსწავლის აღზრდის და მიღწევების პასუხისმგებლობას. ეს აზრი ინტერვიუებისას უფრო გაიშალა. ფსიქოლოგებმა და დირექტორებმა აღნიშნეს, რომ კერძო სკოლის შემთხვევაში მშობელი უფრო მეტად ავალდებულებს სკოლას მოსწავლის აკადემიურ მიღწევებში. როგორც კითხვარების და ინტერვიუების ანალიზისას ირკვევა, პედაგოგებთან საჯარო სკოლის მშობლებს უფრო აქვთ თანამშრომლობითი განწყობა. (იხ.დიაგრამა N17)

დიაგრამა N17



- **ვფლობ მოსწავლის ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციას სრულად, რათა საჭიროების შემთხვევაში, მარტივად მოვახერხო მათთან დაკავშირება**

ამ დებულებასაც პედაგოგების სრული უმრვლესობა ეთანხმება.

სრულიად ეთანხმება 42.9%; ეთანხმება- 48.5%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 5.7 %; არ ეთანხმება 2.9 % და სრულიად არ ეთანხმება 0%

ამ კითხვაზე კერძო და საჯარო სკოლის პედაგოგების პასუხები თითქმის არ განსხვავდება.

- **ვცდილობ, მოსწავლეს მხარი დავუჭირო, გავამხნევო და სტიმული მივცე, რათა აუმაღლდეს თვითშეფასება და განუმტკიცდეს თავისი თავისადმი რწმენა**

როგორც ჩანს, პედაგოგების მხრიდან მოსწავლეების მორალური მხარდაჭერა მათი უმრავლესობისთვის პრიორიტეტულია.

აღნიშშნულ დებულებას ორივე ტიპის სკოლის პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა 91.5 % ეთანხმება.

სრულიად ეთანხმება 68.6%; ეთანხმება 22.9%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 2.9 % ; არ ეთანხმება 5.7%; სრულიად არ ეთანხმება 0%

- **ჩემსა და მშობლებს შორის ურთიერთობა ნდობასა და პატივისცემაზეა დამყარებული**

ფრიად სასიამოვნოა, როდესაც ორივე ტიპის სკოლის პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა (91.4%) აცხადებს, რომ მათსა და მშობლებს შორის ურთიერთობა ნდობასა და პატივისცემაზეა დამყარებული.

სრულიად ეთანხმება 57.1%; ეთანხმება- 34.3%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქირა 2.9 % ; არ ეთანხმება 5.7%; სრულიად არ ეთანხმება 0%

- **მშობლებს სისტემატურად ვაძლევ რჩევებს, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლაში**

პედაგოგების უმრავლესობა აცხადებს, რომ მშობლებს სისტემატურად აძლევენ რჩევებს, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლაში

სრულიად ეთანხმება 55.7%; ეთანხმება- 31,4%; ნეიტრალური პოზიცია 7.1 % დააფიქსირა; არ ეთანხმება 5.7% ; სრულიად არ ეთანხმება 0

- **კმაყოფილი ვარ მშობელთა ჩართულობის დონით სასკოლო ცხოვრებაში**

რაც შეეხება სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დონით კმაყოფილების საკითხს, დამრიგებლების პასუხები არაერთგვაროვანია, თუმცა მათი უმრავლესობა უფრო უკმაყოფილოა, ვიდრე კმაყოფილი. აღსანიშნავია, რომ კერძო

სკოლის პედაგოგები უფრო უკმაყოფილოები არიან მშობელთა ჩართულობის და თანამშრომლობის დონით 65%, ვიდრე საჯარო სკოლის პედაგოგები 42%.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კითხვარებისა და ინტერვიუების ანალიზისას ირკვევა, რომ საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები უფრო თანამშრომლობენ პედაგოგებთან, განსხვავებით კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლებისგან, რომლებიც პრეტენზიებით არიან განწყობილნი და პასუხისმგებლობის ძირითად ნაწილს სკოლას აკისრებენ.(იხ.დიაგრამა N18)

დიაგრამა N18



- **მშობელთა კრებებს ბევრი მშობელი არ ესწრება**

სამწუხაროდ, როგორც გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, კრებებს ბევრი მშობელი არ ესწრება, როგორც კერძო, ისევე საჯარო სკოლებში. თითქმის ანალოგიური სიტუაციაა ორივე ტიპის სკოლაში.

დებულებას სრულიად ეთანხმება 31%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება- 29%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 12 %; უფრო არ ეთანხმება,ვიდრე ეთანხმება 22%; სრულიად არ ეთანხმება 6%

- **ხშირად, მშობლები უარყოფითად რეაგირებენ ბავშვის მისამართით გაკეთებულ ჩემს შენიშვნებზე**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გაიყო, თუმცა მცირედით მეტი პედაგოგი 44% აღიშნავს, რომ ხშირად, მშობლები უარყოფითად რეაგირებენ ბავშვის მისამართით გაკეთებულ მის შენიშვნებზე, პასუხისგან თავი შეიკავა 20%, ხოლო დებულებას არ დაეთანხმა გამოკითხულთა 36%. თითქმის ანალოგიური შედეგია ორივე ტიპის სკოლაში. (იხ.დიაგრამა N19)

დიაგრამა N19



- **მშობლებს სისტემატურად ვაძლევ რჩევებს, იმასთან დაკავშირებით,თუ როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლაში**

ორივე ტიპის სკოლის პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა 82.9% აფიქსირებს, რომ მშობლებს სისტემატურად აძლევენ რჩევებს, იმასთან დაკავშირებით,თუ როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლაში.

დებულებას სრულიად ეთანხმება 54.3%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება- 28.6%; ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა 10%; უფრო არ დაეთანხმა, ვიდრე დაეთანხმა 3% და სრულიად არ დაეთანხმა 4%.

- **მშობლები ნაკლებად იჩენენ ინიციატივას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით**

აგრეთვე უმრავლესობა, ორივე ტიპის სკოლის პედაგოგებისა, აღნიშნავენ, რომ მშობლები ნაკლებად იჩენენ ინიციატივას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით, ნაწილი კი ნეიტრალურ პოზიციას აფიქირებს

სრულიად ეთანხმება 8,6%; უფრო ეთანხმება,ვიდრე არ ეთანხმება- 45.7% ; ნეიტრალური პოზიცია 22.9% ; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება 14.3% ; სრულიად არ ეთანხმება 8.6%

- **პედაგოგებს არ აქვთ საკმარისი დრო მშობლებთან ურთიერთობისთვის**

ამ კითხვაზე პედაგოგების აზრი, ორად გაიყო, თუმცა ორივე შემთხვევაში უფრო მეტი ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება დებულებას. ამასთან, დროის დეფიციტის პრობლემა საჯარო სკოლის პედაგოგებთან უფრო გამოიკვეთა. რაც, როგორც შემდგომ

ინტერვიუებში აღნიშნეს, კლასებში მოსწავლეთა დიდი რაოდენობის შედეგია. თუმცა, განსხვავება მკვეთრი არ არის. (იხ.დიაგრამა N20

დიაგრამა N20



- **გთხოვთ, მონიშნოთ ის ბარიერები, რომელიც ყველაზე მეტად უშლის მშობლებს ხელს შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისას**

პედაგოგთა უმრავლესობამ შვილების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისთვის, მშობლთა მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად დაასახელა დატვირთული გრაფიკი 82.9 %; შემდეგ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები 51.4%; იმავე რაოდენობით მონიშნეს ის ფაქტორი, როდესაც მშობელი ვერ იაზრებს შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობას 51.4%; მშობელს და სკოლას შორის კომუნიკაციის ნაკლებობა 22.9% და მშობლის უნდობლობა სკოლის მიმართ 17.1%. (იხ.დიაგრამა N 21)

დიაგრამა N 21



❖ **აქვს თუ არა თქვენს სკოლას „მშობელთა ჩართულობის მოდელი“, ანუ, ოფიციალურად გაწერილი აქტივობები, ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად?**

გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ მის სკოლას აქვს მშობელთა ჩართულობის მოდელი, ან აქვს ნაწილობრივ. აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლების პედაგოგების 13% აღნიშნავს, რომ არ აქვთ „მშობელთა ცართულობის მოდელი“, როცა

საჯარო სკოლის პედაგოგები მხოლოდ 8 % ამბობს იმავეს. როგორც ჩანს, აღნიშნული კუთხით შედარებით უკეთესი სიტუაციაა საჯარო სკოლებში.(იხ.დიაგრამა N22)

დიაგრამა N 22



❖ **რა მეთოდებით ცდილობთ მოსწავლის წახალისებას?**

ღია კითხვაზე თუ რა მეთოდებით ცდილობენ პედაგოგები მოსწავლეთა წახალისებას, გამოიკვეთა შემდეგი მეთოდები:

- შექება/ სტყვიერი კომპლიმენტი;
- ნიშნით წახალისება;
- ინდივიდუალური მიდგომა;
- მეგობრული საუბრები;
- რაიმე სახის ჯილდო;
- განმავითარებელი შეფასება.

„სიტყვიერი კომენტარი, რაიმე სახის ჯილდო.“

„სიტყვიერი კომენტარი, აპლოდისმენტები და ა.შ“

„მოსწავლეებს სჭირდებათ ინდივიდუალური მიდგომა. ამიტომ ცალსახა პასუხი არ მაქვს“

„შექება, ურთიერთგაგება, მეგობრული დამოკიდებულება.“

„სიტყვიერად, საუბრებით, გამხნევებით, ნიშნით ,შექებით.“

„ვამყარებ მასთან მეგობრულ ურთიერთობას, ნდობისა და სიყვარულის ფაქტორის გათვალისწინებით, ვუსახავ ობიექტურ სურათს და იმედს, რომ თუ მომენდობა, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.“

- **თუ შეიძლება, გაიხსენეთ ბოლო აქტივობა, სადაც მშობლებს შესთავაზეთ ბავშვებთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა; ან მშობლის, დასამახსოვრებელი, პოზიტიური ჩართულობის მაგალითი**

პედაგოგებს ვთხოვეთ გაეხსენებინათ ბოლო აქტივობა, სადაც მშობლებს შესთავაზეს ბავშვებთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა; ან გაეხსენებინათ მშობლის, დასამახსოვრებელი, პოზიტიური ჩართულობის მაგალითი“, რაზეც მივიღეთ შემდეგი პასუხები:

- ექსკურსია
- პრეზენტაციის მომზადების პროცესი
- სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობა (მხიარული სტარტები, წიგნის დღე, გამოფენა-გაყიდვა, დასუფთავების აქცია, პროფესიის მიხედვით ჩატარებული გაკვეთილი)

„წლის ბოლო ექსკურსია მშობლებთან ერთად“

„პრეზენტაციისთვს მზადების პერიოდში მშობლები აქტიურად გვეხმარებოდნენ“

„ვაპირებთ ექსკურსიაზე წასვლას. ყველაფერს, რაც ერთობლივ ექსკურსიას შეეხება, მშობლები გეგმავენ. თუ მე მიმყავს ბავშვები, მაშინ საგზალზე შეთანხმებით ზრუნავენ.“

„ექსკურსიაზე მშობლებთან ერთად წასვლა. ეკლესია-მონასტრების მოლოცვა.“

„გამოცდების წინ შაბათ-კვირა უწევდა. მშობლებს ვთხოვე გამოეჩინათ ყურადღება და დაინტერესებულიყვნენ ბავშვების მზაობით გამოცდებისთვის. აშკარა იყო მშობლების დაინტერესება.“

„მშობლების მონაწილეობით მოვაწყვეთ პოეზიის საღამო.“

„მხიარული სტარტები; ერთობლივი ექსკურსია, სადაც ბავშვებმა და მშობლებმა სხვადასხვა თამაში ითამაშეს.“

„სკოლაში მოსწალეთა მიერ მოეწყო გამოფენა-გაყიდვა და დავეხმარეთ ლეიკემიით დაავდებულს. აღნიშნულ აქტივობაში მშობლებიც იყვნენ ჩართულები.“

„რადგან 5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა, ჩემმა მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა მოვაწყვეთ დასუფთავების აქცია. იმედია, სოფლის მოსახლეობა გაუფრთხილდება გასუფთავებულ გარემოს.“

- **ძირითადად, რა პრობლემებს აწყდებით მშობლებთან ურთიერთობისას?**

ღია კითხვაზე, თუ რა პრობლემებს აწყდებიან პედაგოგები მშობლებთან ურთიერთობისას, მიღებული პასუხებიდან, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- დროის უქონლობა, ურთიერთობის დეფიციტი საკუთარ შვილებთან;
- კომუნიკაციის ნაკლებობა პედაგოგებთან/სკოლასთან;
- საკუთარი წილი პასუხისმგებლობის არიდება; პასუხისმგებლობის სკოლაზე გადაბარება; თავდასხმის რეჟიმში ყოფნა;
- სუბიექტური დამოკიდებულება, შვილის არაადექვატურად შეფასება;
- ყურადღების გამახვილება ნიშნებზე და არა ცოდნაზე;

- უნდობლობა პედაგოგების მიმართ;
- უჭირთ პრობლემის აღიარება და გაზრება;
- ოჯახში განათლების არაპრიორიტეტულობა;
- მშობლების მხრიდან მხოლოდ მომხდარზე ორიენტირებულობა და ნაკლები მუშაობა ამა თუ იმ პრობლემის პრევენციისთვის;
- ვერ იაზრებენ შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობას.

„ფიქრობენ, რომ მხოლოდ სკოლაა პასუხისმგებელი მათი შვილების აღზრდაზე.“

„არ დადიან კრებებზე.“

„მშობლების მთავარი პრობლემა სუბიექტურობაა. ზედმეტი მოთხოვნებით პრობლემას უქმნიან საკუთარ შვილებს.“

„ვფიქობ დროის უქონლობა და ურთიერთობის დეფიციტია პრობლემა.“

„დროის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ მოსვლას და ამის გამო პრობლემები იქმნება“

„ძირითადად, ორიენტირებულნი არიან აკადემიურ მოსწრებაზე და არა ცოდნაზე“

„დაკავებულები არიან, ვერ იცლიან საკმარისად შვილებისთვის. როდესაც მათ შვილებს დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ, კიდევ უფრო არიდებენ თავს სკოლაში მოსვლას. ვფიქრობ, პასუხსმგებლობას ირიდებენ.“

„სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა ზოგ მშობელს შვილის დავალების შესრულება ჰგონია.“

„არ აღიარებენ შვილის პრობლემას. მშობლებს აქვთ საკუთარ შვილებთან ურთიერთობის დეფიციტი“

„მშობლებს ძალიან უჭირთ სკოლაში მოსვლა და იმ მასწავლებლებთან გასაუბრება, ვის საგანშიც სიძნელეს აწყდება მისი შვილი. ხშირად მშობელს არ სცალია და ურჩევნია

მთელი პასუხისმგებლობა გადააბაროს სკოლას. თუმცა, არსებობენ კარგი და პოზიტიური მშობლები.“

„ზოგიერთი მშობლის მთავარი პრობლემაა, საკუთარი შვილის შესაძლებლობების არაადექვატურად მაღალი შეფასება და ნიშნებზე ორიენტირება, ცოდნის ნაცვლად. შვილისთვის დროის უქონლობა; პასუხისმგებლობის მხოლოდ მასწავლებელზე და არა საკუთარ თავზე გადატანა.“

„ცდილობენ პედაგოგს და სკოლას გადააბრალონ პრობლემა.“

„თავდასხმის რეჟიმში ყოფნა.“

„აგრესიულები და უკმაყოფილოები არიან საპენსიო ასაკის პედაგოგებით.“

„აგრესიულები და უკმაყოფილოები არიან საპენსიო ასაკის პედაგოგებით“

„ვცდილობ, მშობლებთან დავამყარო მეგობრული ურთიერთობა და ამის შემდეგ დავიწყო რიგი პრობლემების განხილვა. როცა პედაგოგი მოიპოვებს მშობლის ნდობას, მშობელიც პოზიტიური და კეთილგანწყობილია. შემდეგ, პრობლემებზე საუბარი უფრო ადვილია!“

„ნაკლები პრობლემა მაქვს, მართლა! ასეთი ანგელოზები რა შემხვდნენ, არ ვიცი.“

- **„რა რეკომენდაციებს მისცემდით მშობლებს შვილის სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვისთვის?**

ბოლოს, პედაგოგებს ვთხოვეთ შემოეთავაზებინათ თავიანთი რეკომენდაციები, რისი საშუალებითაც მშობლები შვილების ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩაერთვებოდნენ:

- **მშობლების მეტი თანამშრომლობა სკოლასთან და პედაგოგებთან;**
- **მშობლის და პედაგოგის ერთობლივი მუშაობა ბავშვის პრობლემის აღმოსაფხვრელად;**

- შვილებისთვის უფრო მეტი დროის დათმობა, მათთან მეგობრობა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა;
- შვილების პრობლემებით დაინტერესება და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში დახმარება;
- უფრო მეტი ინტერესი შვილის სასკოლო ცხოვრების მიმართ;
- პედაგოგებთან მეგობრული ურთიერთობა და ხშირი კომუნიკაცია მათთან;
- მეტი ნდობა პედაგოგების კომპეტენციისადმი.

„აუცილებელია აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და ითანამშრომლონ სკოლასთან.“

„გაგებით,მოთბინებით, თანადგომით და სწავლაში დახმარებით მეტ შედეგს დავდებთ ერთად“

„აუცილებელი მშობელი შვილის აკადემიური მოსწრებით თუ სხვა ქცევებით ყოველთვის ინტერესდებოდეს. ახლო კონტაქტში იყოს მასწავლებელთან.“

„უფრო მეტი სიხშირით დააკვირდნენ შვილების საქმიანობას, მეტად ითანამშრომლონ პედაგოგებთან და საკუთარ შვილებთან.“

„მაქსიმალურად ჩაერთონ შვილების სასკოლო ცხოვრებაში, ნდობა მოიპოვონ ბავშვების და მეტი დრო დაუთმონ თავიანთ შვილებს.“

„ითანამშრომლონ სკოლასთან, უფრო ახლოს გაიცნონ შვილები, დაინტერესდნენ მათი პრობლემებით, დაეხმარონ პრობლემის გადაჭრაში“

„1. მიეცით შვილებს მეტი თავისუფალი დრო და ნუ ატარებთ ყველა წრეზე;

2. გაზარდეთ ის დამოუკიდებელ პიროვნებად;

3. მიეცით საშუალება, ისწავლოს საკუთარ შეცდომებზეც;

4. კითხეთ შვილებს რა მოსწონთ და რა უყვართ“;

„თუ სცალია, მგონი ყველას მშობელს სურს შვილთან ყოფნა“;

„მშობელი ხშირად უნდა ესაუბროს შვილს მისთვის საინტერესო საკითხზე (წიგნზე, ფილმზე, მულტფილმზე და ა.შ). მოისმინოს და გაითვალისწინოს შვილის პოზიცია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.“

„დაინტერესდნენ ბავშვების სასკოლო ცხოვრებით. მჭიდროდ იკონტაქტონ მასწავლებლებთან, მიიღონ მასწ. როგორც პარტნიორი“

„მეტი ყურადღება შვილებს, რომ არ გაწყდეს მშობლებს და შვილებს შორის კავშირი.“

„მეტი სიყვარული შვილებისადმი. პირადი მაგალითი მათთვის“

„მთავარი ქვეყნისთვის ღირსეული მოქალაქის აღზრდაა, ამისთვის საჭიროა ურთიერთობის ყველა ფორმის გამოყენება. მათ შორის, სკოლასთან ინტენსიური ურთიერთობა.“

„საკუთარი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა, ჯანსაღი დახმარება და ურთიერთობა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში, პასუხისმგებლობებისა და შესაძლებლობების სწორი მართვა და მონიტორინგი.“

„მოზომილი ყურადღება და დაინტერესება გამოიჩინონ ბავშვების სასკოლო ცხოვრების მიმართ.“

„მაკონტროლებლის როლიდან, უპირველესად, დამხმარისა და გულშემატკივარის როლში შესვლა.“

„შემუშავდეს მშობელთა ჩარულობისთვის გეგმა და დირექცია გააქტიურდეს.“

„ბავშვებს მიხედონ და ნაკლებად ჩაეძიონ მასწავლებლის კვალიფიკაციას. თავად ისწავლონ და შემდე შვილს ასწავლონ.“

ინტერვიუების ანალიზი

ინტერვიუ ჩატარდა რამდენიმე სკოლის დირექტორთან და ფსიქოლოგთან. მათი პოზიცია ერთხმად იყო, რომ მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია და ისინი ყოველთვის ცდილობენ საუკეთესო შედეგის მიღწევას ამ კუთხით. თუმცა, ცდილობდნენ არ გაესვათ ხაზი სკოლის ხარვეზებზე ამ კუთხით.

სკოლის დირექტორებმა მშობელთა ჩართულობის ხელისშემშლელ ფატორად მშობლების დაკავებული გრაფიკი, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები დაასახელეს. აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მშობელი პასუხისმგებლობას გაურბის და მხოლოდ სკოლას აკისრებს მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე პასუხისმგებლობას, ზოგიერთი მშობელი ნაკლებად ინტერესდება სკოლის აქტივობებით.

რამდენიმემ აღნიშნა რომ, მის სკოლაში შობელთა ჩართულობის დონით კმაყოფილია, რომ ძირითადად, ჰარმონიული ურთიერთობაა სკოლასა და მშობლებს შორის და ის, რომ პედაგოგები მუდმივად მზაობას გამოხატავენ მშობლებთან ურთიერთობისთვის.

„საქართველოში მძიმე სოციალური პირობებია. მშობლები დღე და ღამე მუშაობენ შვილების სარჩენად, შსაბამისად სათანადო დროს ვეღარ უთმობენ შვილებს და მითუმეტეს, სკოლას.“

„მინდა აღვნიშნო, რომ მე და ჩემი პედაგოგები მუდმივად ვმუშაობთ, იმისთვის რომ, მშობელი დავაინტერესოთ, ჩავრთოთ სასკოლო ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია სკოლის შიდა გარემო და კეთილგანწყობა.“

ერთ-ერთმა საპატრიარქოს სკოლის დირექტორმა აღიშნა, რომ მზრუნველობითი კომპონენტი მათთან ორმაგად გაძლიერებულია, ვინაიდან, სასულიერო პირი, მოძღვარი აქტიურადაა პედაგოგთან ერთად ჩართული სწავლა-აღზრდის პროცესში:

„ ჩვენს სკოლაში პედაგოგთან ერთად ბავშვზე ზრუნავს მოძღვარი. ჩვენთვის ბავშვის აღზრდა-განათლება სულიერი, მორალური და ზნეობრივი აღზრდიდან იწყება.“

ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მშობელი, როდესაც უკმაყოფილოა რომელიმე პედაგოგით, არ ცდილობს, რომ დასაბუთებული მიზეზი მიაწოდოს სკოლას. ზოგიერთი მშობელი კი სკოლას ელოდება, როდის გამოიჩენს ინიციატივას, მაშინ, როცა თავადაც უნდა გამოიჩინონ ინიციატივა რომელიმე აქტივობის კუთხით. აგრეთვე, აღნიშნეს, რომ კერძო სკოლაში უფრო მეტად არიან მშობლები პროტესტის რეჟიმში ნებისმიერი უკმაყოფილების დროს, ვინაიდან თანხას იხდიან.

ფსიქოლოგებმა განმარტეს, რომ უმჯობესი იქნება სკოლაც გააქტიურდეს, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები მშობელთა ჩართულობის კუთხით. ჩაატარონ ტრენინგები პედაგოგებისთვის და მშობლებისთის. მათ თქვეს, რომ გადატვირთულ კლასებში პედაგოგებს უჭირთ მშობლებთან ხშირი კონტაქტი, თუმცა, იცის დასძინეს, რომ ერთობლივი მუშაობით ყველა პრობლემა მოგვარდება.

„მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის, მშობლები უნდა გამოვიდნენ თავდასხმის და მაკონტროლებლის რეჟიმიდან. უნდა გადავიდნენ თანამშრომლობის რეჟიმში და ერთობლივი ძალებით მივიღოთ უკეთესი შედეგი.“

დასკვნები

კვლევის შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

- ორივე ტიპის სკოლის დამრიგებლები, დირექტორები, ფსიქოლოგები და მოსწავლეთა მშობლები ერთხმად თანხმდებიან მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის უდიდეს და მრავალმხრივ დადებით მნიშვნელობაზე.
- მიუხედავად იმისა, რომ მშობლები, პედაგოგები და დირექტორები კარგად იაზრებენ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დადებით ეფექტებს, რეალურად, მშობელთა ჩართულობას აქვს არასტრუქტურირებული და სპონტანური ხასიათი ორივე ტიპის სკოლაში.
- სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა კერძო ინიციატივა უფროა, ვიდრე ფორმულირებული ქცევითი სტრუქტურა;
- საერთო ჯამში, კერძო და საჯარო სკლებში მშობელთა ჩართულობის დონის კუთხით,მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოიკვეთა, თუმცა რაღაც ასპექტებში განსხვავება შეიმჩნევა.
- საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობამ აღნიშნავს, რომ თვეში ერთხელ მაინც აქვს კონტაქტი პედაგოგთან; ხოლო კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობა ამბობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც კონტაქტობს პედაგოგთან. აღნიშნულ კითხვაზე პედაგოგების და მშობლების პასუხები ემთხვევა. როგორც ჩანს, კონტაქტი კერძო სკოლის შემთხვევაში უფრო ხშირია, რასაც კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობას უკავშირებენ.
- ორივეტიპის სკოლის შემთხვევაში, თანამშრომლობის ინიციატორები ,ძირითადად, დამრიგებლები არიან. თავად მშობლები, ხშირ შემთხვევაში, ბავშვთან დაკავშირებული რაიმე სახის პრობლემის დროს მიმართავენ მათ.
- ორივე ტიპის სკოლის შემთხვევაში, კომუნიკაციის ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ფორმაა :

✓ სატელეფონო საუბრები;

✓ პირისპირ შეხვედრა;

- ✓ სოციალური ქსელი;

- ორივე ტიპის სკოლაში მშობელთა უმრავლესობისთვის სასკოლო აქტივობებში მონაწილეობა შემოიფარგლება ძირითადად, მშობელთა კრებებზე და ექსკურსიებზე დასწრებით.
- მშობელთა უმრავლესობა ინტერესდება შვილის სასკოლო ცხოვრებით, ესაუბრება მათ განვლილი დღის, მომავალი პროფესიის შესახებ.
- ორივე ტიპის სკოლის მოსწავლეთა მშობლები კმაყოფილები არიან ბავშვთან დაკავშირებული პრობლემის შემთხვევაში, პედაგოგებთან თანამშრომლობით და მათთან ერთობლივი მუშაობით.
- ორივე ტიპის სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობა არ მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო ოფიციალური და დაძაბულია. ასევე, არ თვლის, რომ სკოლას არ სურს მათი ჩარევა შიდა საქმეებში.
- მშობელთა ნახევარზე მეტი არ თვლის, რომ ბავშვის აკადემიურ მიღწევებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ სკოლას ეკისრება, თუმცა საპირისპირო პასუხებიდან ირკვევა, რომ კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები, საკარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედარებით, უფრო მეტად აკისრებენ პასუხისმგებლობას სკოლას. ასევე, ხშირ შემთხვევაში, აქვთ პრეტენზიული და არა, თანამშრომლობითი განწყობა.
- ორივე ტიპის სკოლაში, მშობლების შინ ჩართულობა, მეცადინეობის პროცესში, ყველაზე ხშირად, გამოიხატება კონტროლით, მოამზადა თუ არა ბავშვმა გაკვეთილები.

თუმცა, საჯარო სკოლის შემთხვევაში,მშობლები უფრო აქტიურად ეხმარებიან შვილებს მეცადინეობისას,ვიაიდან, საჯარო სკოლის შემთხვევაში, მეორე ადგილას უშუალოდ მეცადინეობის პროცესში ჩართულობა დასახელდა. კერძო სკოლის შემთხვევაში, მეორე ადგილას რეპეტიტორთან მომზადებაა.

- იმისთვის, რომ მოზარდები წაახალისონ ახალი ცოდნისა და უნაების დაუფლებაში, მშობლები ყველაზე ხშირად მიმართავენ შემდეგ ფორმებს:

შექება; ჯილდო; საკუთარი გამოცდილების გაზიარება; მაღალი მოლოდინი მათდამი; მეგობრული საუბრები;

- მშობლებისთვის შვილის სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობისას ბარიერს წარმოადგენს შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

✓ აქტივობის დროის შეუთავსებლობა სამუშაო გრაფიკთან;

✓ თავისუფალი დროის დეფიციტი;

✓ შეგრძნება, რომ სკოლაში არასასურველი სტუმარია;

✓ მშობელს და სკოლას შორის ოფიციალური და დაძაბული გარემო;

✓ სხვადასხვა მოხალისეობრივი შესაძლებლობების შესაებ ინფორმაციის არქონა;

✓ სკოლას არ აქვს მსგავსი აქტივობები

- დამრიგებლების პოზიციიდან,მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვისთვის ხელისშემშლელი ფაქტორებია:

✓ მშობლების დატვირთული გრაფიკი;

✓ ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები;

✓ მშობელი ვერ იაზრებს შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობას;

✓ მშობელთა განათლების დაბალი დონე

✓ მშობელს და სკოლას შორის კომუნიკაციის ნაკლებობა;

✓ მშობლების უარყოფითი განწყობა და უნდობლობა სკოლის მიმართ;

✓ სკოლის დაბალი აქტივობა მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად.

- პედაგოგები მოსწავლეთა წახალისებას ცდილობენ შემდეგი მეთოდებით: შექება/ სტყვიერი კომპლიმენტი; ნიშნით წახალისება; ინდივიდუალური მიდგომა; მეგობრული საუბრები; რაიმე სახის ჯილდო; განმავითარებელი შეფასება.
- პედაგოგებმა დაასახელეს ის ძირითადი პრობლემები, რასაც აწყდებიან მშობლებთან ურთიერთობისას:
- დროის უქონლობა, ურთიერთობის დეფიციტი საკუთარ შვილებთან;

- კომუნიკაციის ნაკლებობა პედაგოგებთან/სკოლასთან;
- საკუთარი წილი პასუხისმგებლობის არიდება; პასუხისმგებლობის სკოლაზე გადაბარება; თავდასხმის რეჟიმში ყოფნა;
- სუბიექტური დამოკიდებულება, შვილის არაადექვატურად შეფასება;
- ყურადღების გამახვილება ნიშნებზე და არა ცოდნაზე;
- უნდობლობა პედაგოგების მიმართ;
- უჭირთ პრობლემის აღიარება და გაზრება;
- ოჯახში განათლების არაპრიორიტეტულობა;
- მშობლების მხრიდან მხოლოდ მომხდარზე ორიენტირებულობა და ნაკლები მუშაობა ამა თუ იმ პრობლემის პრევენციისთვის;
- ვერ იაზრებენ შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობას.
- პედაგოგებს არ აქვთ საკმარისი დრო მშობლებთან სრულფასოვანი ურთიერთობისთვს. ამასთან, დროის დეფიციტის პრობლემა საჯარო სკოლის პედაგოგებთან უფრო გამოიკვეთა, რაც, კლასებში მოსწავლეთა დიდი რაოდენობის შედეგია.
- ორივე ტიპის სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი მშობელი უარყოფითად რეაგირებს ბავშვის მისამართით გაკეთებულ მათ შენიშვნებზე;
- პედაგოგები მშობლებს სისტემატურად აძლევენ რჩევებს, იმასთან დაკავშირებით,თუ როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლაში;
- მშობელთა კრებებს ბევრი მშობელი არ ესწრება, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში;
- დამრიგებლების უმრავლესობა უკმაყოფილოა მშობელთა ჩართულობის დონით სასკოლო ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლის პედაგოგები უფრო უკმაყოფილოები არიან მშობელთა ჩართულობის და თანამშრომლობის დონით, ვიდრე საჯარო სკოლის პედაგოგები.
- როგორც ზემოთ აღვნიშნე, კითხვარებისა და ინტერვიუების ანალიზისას ირკვევა, რომ საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები უფრო თანამშრომლობენ პედაგოგებთან, განსხვავებით კერძო სკოლების მოსწავლეთა

მშობლებისგან, რომლებიც პრეტენზიებით არიან განწყობილნი და პასუხისმგებლობის ძირითად ნაწილს სკოლას აკისრებენ.

- დამრიგებლები ფლობენ მოსწავლის ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციას სრულად, რათა საჭიროების შემთხვევაში, მარტივად მოახერხონ მათთან დაკავშირება;
- მშობლების და პედაგოგების ურთიერთობა დამყარებულია ნდობასა და ურთერთპატივისცემაზე
- მშობლები დაწყებით საფეხურზე უფრო იყვნენ ჩართული შვილის სასკოლო ცხოვრებაში
- მშობლებმა დაასახელეს ის ძირითადი პრობლემები, რასაც აწყდებიან პედაგოგებთან ურთიერთობისას:

✓ პედაგოგების მიერ სწავლების არასწორი და არაეფექტური მეთოდების გამოყენება;

✓ პედაგოგების არაობიექტურობა;

✓ პედაგოგების არადამაკმაყოფილებელი პროფესიული კვალიფიკაცია;

✓ პედაგოგების მიერ მოსწავლეების არაეთიკური „ეპითეტებით შემკობა“;

✓ კომუნიკაციის ნაკლებობა როგორც მშობლებთან, ასევე მოსწავლეებთან.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი დასკვნებიდან გამოჩნდა, მრავალი პრობლემა და დაბრკოლება გამოიკვეთა მშობელთა აქტიური ჩართულობის მხრივ. თუმცა, ბევრი პოზიტიური ფაქტორიც ვიხილეთ.

აღსანიშნავია, რომ მშობელთა ჩართულობის კუთხით,მნიშვნელოვანი განსხვავება კერძოსა და საჯარო სკოლას შორის არ გამოვლენილა. თუმცა, რა თქმა უნდა, გამოიკვეთა მცირედ განმასხვავებელი ფაქტორები, რაზეც ზემოთ, უკვე, ვისაუბრეთ.

ფაქტია, ბევრი რამაა მშობელთა ჩართულობის გაზრდის კუთხით დასახვეწი, შესაქმნელი და მოსაფიქრებელი, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც მშობლებმა, პედაგოგებმა და სკოლამ,ასევე, თავად სახელმწიფომ.

რეკომენდაციები

ჩვენეული რეკომენდაციები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ასამაღლებლად:

- აუცილებელია ქართული განათლების პოლიტიკის დონეზე გახდეს პრიორიტეტული "მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში" და სახელწიფომ შეიმუშაოს ეფექტური სტრატეგიები, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით და ქართულ რეალობაზე ოპტიმალურად მირგებით, რომელიც ხელს შეუწყობს მშობელთა მაქსიმალურად ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში;
- სასურველია, განათლების სამინისტროს სსიპ-ებისა და უნივერსიტეტების ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა აღნიშნულ თემაზე;
- სასურველია, დირექტორებს, პედაგოგებს და მშობლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის თემაზე;
- მნიშვნელოვანია, დირექტორებმა დასახონ სამოქმედო გეგმა და სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის დონის გასაზრდელად. აქტიურად უნდა დაგეგმონ მრავალფეროვანი სასკოლო აქტივობები, გააქტიურონ პასიური მშობლები და არ დაელოდონ იმას, თუ როდის გამოიჩენს რომელიმე მხარე ინიციატივას.
- სკოლამ მშობელს უნდა დაანახოს კეთილგანწყობა:

✓ პეაგოგები გულთბილად უნდა შეეგებონ მშობლებს;

✓ სკოლამ უნდა გამოხატოს პატივისცემა და მადლიერება სკოლის ცხოვრებაში ჩართული მოხალისე მშობლებისადმი;

✓ პედაგოგებმა რეგულარულად უნდა აცნობონ მშობლებს პოზიტიური ამბები.

✓ პედაგოგის და მშობლის ურთიერთობა უნდა დაეფუძნოს ნდობასა და პატივისცემას.

- სკოლამ მშობლებს უნდა მოაწოდოს ინფორმაცია წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ; სასწავლო პროგრამების შინაარსზე; შეფასების პროცედურებისა და კრიტერიუმების შესახებ; მოსწავლეთა მომსახურების პროგრამებზე;სკოლის

მთავარი პრინციპების შესახებ; თუ როგორ შეიძლება ბავშვებს დაეხმარონ შინ მეცადინეობის დროს; როგორ უნდა ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და ა.შ

- სასურველია, საჯარო სკოლებში გააქტიურდეს სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირება; კერძო სკოლებმა კი შეიმუშაონ მსგავსი მექანიზმი სკოლის მართვაში მშობელთა ჩართულობის როლის გაზრდისთვის;
- სასურველია, აღნიშნულ თემაზე ხშირად ჩატარდეს კონფერენციები და სემინარები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. პედაგოკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა „ინტელექტი“.,თბ. 2012 წ.
2. ხუხუა გ. პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები ოჯახურ აღზრდის შესახებ. თბ.1998წ
3. ჯონ დიუი 2014.ჩემი პედაგოგიური მრწამსი.
4. ემილ დიურკემი, სოციალიზაცია და მორალური განათლება
5. „მშობელთა ჩართულობა“. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის.საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი.თბილისი.2015
6. ჩაჩხიანი ქ.,კობახიძე მ., გაბაშვილი მ.,სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვიტარების ეროვნული ცენტრი,თბილისი 2011
7. მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები დირექტორებსა და მსაწავლებლებისათვის, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. თბილისი, 2015
8. ნ.ჯაშია; ნ.იმედაძე,ს.გორგოძე., *განვითარებისა და სწავლების თეორიები,* 2008, 29-31
9. Anselm, S (1977) Parent Involvement I the schools. The Clearing House.Vol50No7,297-299
10. Beale,A (1985). Toward More Effective Involvement. The clearing House, Vol5, No5,213-215
11. Beghetto, R. (2001).Virtually in the Middle.Alternative Avenues for Parental Involvement in Middle Level Schools. The Clearing House,Vol 75N1, 21-25
12. Jafarov,J(2015). Factors Affecting Parential Involvement In Education. The Analysis ofLiterature.Kahazar journal if Houmanities and Social Sciences, 34-42

13. Alan M. Blankstein, Paul D. Houston & Robert W. Cole *Leadership for Family and Community Involvement, 2010,* 23-23

14. oyner, Edward T., Ed.; Ben-Avie, Michael, Ed.; Comer, James P., Ed. *Transforming School Leadership and Management to Support Student Learning and Development: The Field Guide to Comer Schools in Action,* Corwin Press,2004

15. Anfara, Jr., Vincent A., & Mertens, Steven B. (Nov. 2008). Do single-sex classes and schools make a difference? Middle School Journal, 40 (2), 52-59. (MetLife, 2005).

16. Sheldon, S. B., & Epstein, J. L, 2005 *Involvement counts: Family and community partnerships and mathematics achievement.* 198-207

17. Frances L. Van Voorhis Johns Hopkins University. *Interactive Homework in Middle School: Effects on Family Involvement and Science Achievement*. Pages 323-338

18. Hayley Matas and Ingrid Harrington, 2016, The Role of Parents, Teachers and Social Workers in the German and Australian Education Systems. 17-19

19. Sheldon, S. B., & Jung, S. B. (2015). Parent Involvement and Children's Academic and Social Development in Elementary School. Johns Hopkins University, School of Education.

20. Toward Equity in School, Family and Community Partnerships,2018

21. American Psychological Association. Parent Engagement in Schools.

22. Tarasawa, B. & Waggoner, J.2015. Increasing parental involvement of English Language Learner families: What the research says. Journal of Children and Poverty, 129–134.

23. Parential and Family Involvement in education, Douglas B. Downey. 2017

24. ბიბლია, დაბადება 1:28

25. იქვე, მეორე რჯული 6:6,7

ელ.რესურსები:

http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

https://www.strothoff-international-school.com/campus-life/pta/)

(https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78)

http://mastsavlebeli.ge/?p=18080

http://www.mes.gov.ge/content.php?id=5275&lang=geo

http://mastsavlebeli.ge/

http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2018/02/13.pdf

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Kiladze Oliko

Parental involvement in school life

(Comparative analysis of public and private schools on the example of basic school level)

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Ephemia Kharadze

Assistant Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical Sciences

Tbilisi

2019